სეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 31 დეკემბერი 1917 წ.

# ერთობა

ფასი 15 კაპ.

**გაზეთი ღირს:** ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ. ექვსი თვით 27 მ. ერთი წლით 50 მ. **ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ.** საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საათ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მოწერა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба“. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 229 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 229 230

ღრმათ დამწუხრებული მშობლები: სიმონ და ლისა, ძმები: კონსტანტინე, ილიკო და დომენტი, დანიშნული დარიკო მეკრავიშვილი, რძალი დეროსიდე, ძმის წულები: აპოლონ, კარლო და შოლია, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობ-მეგობრებს და ამხანაგებს ძვირფასის დაუვიწყარის

**ისიდორე სიმონის ძის გოგელიას**

დასაფლავება მოხდება სამშაბათს 2 იანვარს, სოფელ სამებაში.

მესამე რაიონული კომიტეტი ბათუმის ორგანიზაციის რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიისა აუწყებს ამხანაგებს ლანჩხუთში ტრაღიკულათ გარდაცვალებას ძვირფას ამხანაგ—მხედრის

**ზაქარია გაბრიელის ძის თაყაქისას**

თფილისის ქალაქის თვითმართველობა აუწყებს ქ. თფილისის მოქალაქეებს ცნობილი რევოლიუციონერის, 70—80 წლების მოღვაწის

**ოლღა სპირიდონის ასულის ლიუბატოვიჩ-ჯაბადარის**

გარდაცვალებას. ცხედარს გამოასვენებენ მიხეილის საავადმყოფოდან დღეს დილის 10 საათზე. კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.

ტრაღიკულად გარდაცვალებულის

**ლუარსაბ კირილეს ძე დოლიძის**

განუსაზღვრელათ დამწუხრებულ მშობლების და ცოლ-შვილის ცრემლებს და გოდებას უერთებთ ჩვენს ულრმეს მწუხარებას და ცრემლებს. ამასთანავე გამოვსთქვამთ მწუხარებას, რომ ვერ დავესწარით საყვარელ ბიძაშვილის დასაფლავებას და უკანასკნელათ გამოთხოვებას, ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზების და დროზე გაუგებლობის გამო.

**სერგო და შიო დოლიძენი, ივანე და მარია კალანდაძენი.**

ღრმათ დამწუხრებულნი დედა ალათი, მეუღლე ნინა, ძმა ვასილი, რძალი—ნადია, და ეფროსინე, სიძე დომენტი რევია, ბიძაშვილები ალათი და გიორგი ჩიქოვანები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ 30 დეკემბერს ს. მცხეთაში გარდაიცვალა

**ელიზბარი სიმონის ძე გეგეჭკორი.**

პანაშვიდი მუდამ დღე 6 საათზე. გამოსვენება ხუთშაბათს, 4 იანვარს, ბინიდან მცხეთის საკათალიკოსო ტაძარში. დაკრძალვა მოხდება წირვის შემდეგ მცხეთის სასაფლაოზე 2—1

გულ-დათუთქულნი მამა თეოფილე, დედა თეკლე მეგენეიშვილის ასული თევზაძისა; შვილები ჟორჟიკა, გრიშა, კოლია და ქეთევან; ბებია ტასია; ბიძანები: მელიტონ, ასლან და დიომიდე; ბიცოლა ანეტა და სოფიო; ბიძაშვილები: ლიუდმილე, ბიქტორ, ჟენია, სონა და ნატაშა; მამიდები: ბარბალე, ივლიტე, ნატალია და აკვირინე შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობ-მოკეთეებს

**პაწია ნინა (ნინიჩკა) თეოფილეს ას. თევზაძის**

უდროვოთ გარდაცვალებას, რომელიც მოხდა 29 ქრისტეშობისთვეს დილის 9 საათზე. უკანასკნელი გამოთხოვების დღეთ დანიშნულია კვირა 31 ქრის. მიცვალებულს გამოასვენებენ საკუთარ ბინიდან ახალ დროის 11 საათზე, პარკოვის ქუჩა საპიორნი კაზარმის უკან, დაკრძალულ იქნება წმ. ნინოს სასაფლაოზე, პანაშვიდი ყოველ დღე დილით და საღამოთი.

**საქართველოს ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი და საბჭოს საფინანსო სექცია**

**იწვევს 31 დეკემბერს 1917 წელს კვირას დილის 12 საათზე**

მთელ ქართველ ვაჭარ-მრეწველთა და შემლებულთა კრებას

**საბჭოს სადგომში, ფრეილინის ქუჩა № 11.**

განსაკუთრებულათ მოწვევა მინდობილი აქვთ შემდეგ პირთ: 1) ალექსანდრე ლორთქიფანიძეს, 2) ნიკოლოზ წვერავას, 3) ალექსანდრე ზედგინიძეს, 4) ალექსანდრე ბერიაშვილს, და 5) ნოე სიხარულიძეს.

კრებაზე დასწრება კომიტეტის დადგენილებით სავალდებულოა.

**საქართველოს ეროვნულ საბჭოს საფინანსო სექცია.**

**ჭიათურის**

პირველ დაწყებითი სავაჭრო სასწავლებლისათვის

**საჭიროა ხატვა-ხაზვის მასწავლებელი.**

**პირობები:** ჯამაგირი 1800 მ. სამხედრო დამატება 1200 მან., ხუთწლიანი დამატებები. გაკვეთილების რიცხვი 22 კვირაში. თხოვნები საცენზო დოკუმენტებით და Curriculum vitae უნდა გაიგზავნოს სასწავლებლის ინსპექტორის სახელობაზე 15 იანვრამდის. 3—1

**ექიმი ვ. გ. ვეფხვაძე**

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

**ექიმი კ. ი. გვარჯალაძე**

**შინაგან და ბავშვთა სნეულებანი**

ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ. 15—00.

**კბილის საქიმო**

**და ლაბორატორია ხელოვნური კბილებისა, დაარსებული**

**გ. ხაიკინა-შინკარევის**

მიერ, თფილისი, მიხეილის პრ., ს., № 76. **ავათმყოფები მიიღება განუწყვეტლივ დღისით და ღამით. ღამით მორიგეობა ექიმებისა.**

**ექიმი ნ. პ. რუხაძე**

იღებს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ყოველ დღე, გარდა კვირა დღეებისი საღამოს 6-დან 8 საათამდე. მიხეილის პრ., № 78; ბინა 2.

**ექიმი გ. მ. მუხაძე**

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

**მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის**

**ყოველ დღიურ გაზეთ**

**„ერთობა“-ზე**

**ხელის მოწერის პირობები:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ერთი თვით | — 4 მან. 50 კაპ. | ექვსი თვით | — 27 მანეთი |
| ორი თვით | — 9 მანეთი. | ერთი წლით | — 50 მანეთი |
| სამი თვით | — 13 მან. 50 კაპ. | ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. | |

**ხელის მოწერის პირობები 1 აპრილამდე (ე. ი. პირველ სამ თვეს) ყოველ შემთხვევაში უცვლელი დარჩება, შემდეგ შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობამ გვაიძულა.**

**გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით: Тифлисъ почт. ящикъ № 199. Редакція „Эртоба“.**

**ამხანაგებს და თანამგრძნობთ ვსთხოვთ ხელის მოწერას ნუ დააყოვნებენ.**

## ახალ წლის წინა დღეს

დღეს ძველი წელიწადის ალსასრულის დღეა. ხვალ უკვე ახალი წელიწადი დაგვიკაკუნებს. და ასეთ დროს სრულიად ბუნებრივია ანგარიში მივსცეთ ჩვენს თავს წარსულში, რომ მერმისს მომზადებულათ შევეგებოთ.

რა მოგვცა 1917 წელმა?

როგორი იყო მისი შედეგები?

1917 წელი არის პირველი წელიწადი რუსეთის დიდი რევოლიუციის. ამით იგი პირველ ყოვლისა პოლიტიკური ექსპერიმენტების წელიწადია.

ლიტერატურა, ხელოვნება, მეცნიერება, ყველაფერი მივიწყებულია. სწავლა, სკოლა დახურულია. დღეს თვით ცხოვრება ერთ ვეებერთელა სკოლათ არის ქცეული, სადაც ფართე მასსა თავის საკუთარ მაგალითებზე, თავის შეცდომებზე, საკუთარი სისხლით სწერს ახალ გაკვეთილებს, იძენს გამოცდილებას.

ამიტომ ამ წლის მთელი ანგარიში, ეს მხოლოდ ამ რევოლიუციის ანგარიშია.

რა მოგვცა რევოლიუციამ?

მან დაამხო ტახტი ნიკოლოზის და ფართო გზა გაუშალა ახალ რუსეთის აშენებას. 27 თებერვლიდან რუსეთი ევროპის ქვეყნებს გვერდში ამოუდგა და თავისუფლების ნექტარი იგემა.

მარა ამ დღიდანვე იწყება ის საშინელი ტრაგედია, რევოლიუციის. ეს ტრაგედია დღესაც არ დამთავრებულა. იგი შეიძლება დიდ ხანს არც დათავდეს.

მთელი დედამიწის ერთი მეექვსედი შეარყია ამ წლის დიადმა მოვლინებამ. მთელი 160 მილიონი ხალხი აამოძრავა და შეატორტმანა. ჯერ კაცობრიობას არ ახსოვს ასეთი მაგალითი, ასე დიდი, მძლავრი, რთული და ფართე რევოლიუცია. ევროპის რევოლიუციები ერთ შედარებით პატარა წრის ფარგლებში ხდებოდა. მაშინაც კი, როცა იგი ერთ სახელმწიფოდან მეორეში გადადიოდა, როგორც 1848 წელს, იგი ყველგან ნაციონალურ, თავისებურ სახეს და ფორმას იღებდა.

მარა თავის სიდიადით, რაოდენობით და სივრცით იგი მაინც რუსეთის არც ტერიტორიას, არც რიცხვს არ დაახლოვებია.

რუსეთის რევოლიუცია ამ მხრით რალაც არაჩვეულებრივია, უმაგალითო. და ამიტომ მისი მიმდინარეობაც განსაკუთრებულ ფორმებში იხატება.

27 თებერვალს იგი თითქმის უსისხლოთ გაბატონდა. რამდენიმე დღის ბრძოლის შემდეგ ხალხს ჯარი შეუერთდა „ფარაონების“ ე. ი. ძველ გოროდოვოების „საპულემიოტო“ ბრძოლას ბოლო მოეღო. ხალხის ერთსულოვნობას, ხალხის აღფრთოვანებას საზღვარი არ ქონდა. რუსეთმა სადღესასწაულო ხასიათი მიიღო. ძველის ჩამოშორება ყველას სასიამოვნოთ დაურჩა.

მაგრამ ძველის გაჩანაგების შემდეგ დაიწყო ნამდვილი შინაგანი რევოლიუცია, ესე იგი შინაგანი სოციალური გადაქმნის პროცესი. ამ გადაქმნის პროცესში ჩატარდა მიმავალი წელიწადი და მას დასასრული ჯერ კიდევ არ მისცემია.

იმ პრობლემებს, რომელიც ამ რევოლიუციამ წამოაყენა, გადაჭრა ჯერ არ ღირსებია. დეკრეტებით მათი აღიარება გადაჭრას კიდევ არ უდრის... საკითხი მიწის, ზავის, თავისუფლების დღესაც ისევ პრობლემათ არის დარჩენილი.

ამ რევოლიუციას მეორე მხარეც აქვს საყურადღებო. ესაა ახალ-ახალი კლასების ამოტივტივება და სახელმწიფოს სადავის მათ ხელში გადასვლა. ამ მხრითაც რუსეთის რევოლიუციამ განსაკუთრებული თვისებები გამოიჩინა. ევროპაში ძალა-უფლება ყოველ რევოლიუციებში ბურჟუაზიას რჩებოდა და არასოდეს წვრილ ბურჟუაზიულ ელემენტებს არ გასცილებია.

პარიზის კომუნა 1871 წელს ამ მხრით მხოლოდ გამონაკლის წარმოადგენს. ესე იგი მხოლოდ ერთი ქალაქის ფარგლებში თავსდებოდა და მის გარეშე არ გავრცელებულა.

რუსეთის რევოლიუციამ კი უკვე ერთი წლის განმავლობაში მოგვცა ახალი მაგალითი „მუშათა მთავრობის“, რომელიც იმავე დროს ჯარზე, ე. ი. არსებითათ დეკლასიურ ელემენტებზე ემყარება.

მუშათა მთავრობა ხიშტებზე დაყრდნობილი. ეს ისტორიული დალოღიკური აბსურდი, ეს შეერთება შეუერთებლის, ეს სასწაული ორ მოპირდაპირე ცნებების ერთათ შედუღებისა,—აი რა განახორციელა წასულმა წელიწადმა.

როგორ მოხდა ეს?

რუსეთის რევოლიუცია საერთოთ ბურჟუაზიულ საზოგადოების ყველა კლასების საერთო თანამშრომლობით დაიწყო. ბურჟუა და მუშა, სალდათი და გლეხი, ყველანი შეერთდენ ძველის წინააღმდეგ. აქედან წარმოიშვა კოალიციური მთავრობა. ამ მთავრობის მთელი მოღვაწეობა დამფუძნებელ კრებისთვის ბრძოლაში გატარდა, რადგან რევოლიუციის ყველა საჭირ-ბოროტო კითხვები მხოლოდ და მხოლოდ დამფუძნებელ კრებას შეეძლო გადაეჭრა.

მისმა დახანებამ და არსებით სოციალურ საკითხების გადაუჭრელობამ, განსაკუთრებით ზავის და მიწის საკითხმა გამოაცალა ნიადაგი კოალიციურ მთავრობას, რომელშიაც ერთი მონაწილე—ბურჟუაზია—ყველა ამ რეფორმების ხელის შეშლას და დამფუძნებელი კრების დაგვიანებას ემსახურებოდა.

აქედან დაიბადა ოქტომბრის ახალი აჯანყება ბალშევიკების მეთაურობით. რას წარმოადგენს ეს აჯანყება?

ერთი შეხედვით ეს მუშათა კლისის გაბატონებაა. მაგრამ ნამდვილათ ამ ბატონობის საფუძველია არა მუშათა ინტერესები, არამედ დაქანცული სალდათების და იმედგადაწყვეტილი წვრილი გლეხკაცობის. ზავი გახდა მთავარ მიზეზათ გადატრიალების. ხოლო ჯარი გამოვიდა მის მთავარ ფიზიკურ ძალათ. აქედან წარმოსდგა კავშირი მუშათა ინტერნაციონალურ მისწრაფებების, ჯარის რეაქციონურ ლტოლვილებასთან, და ეს უდღეური კავშირი დაედვა საფუძვლათ ბალშევიკების გადატრიალებას. შეერთება შეურიგებელის, რომელზედაც ზევით ვლაპარაკობდით, მოხდა რუსეთის შინაგან ცხოვრების წინააღმდეგობათა ნიადაგზე.

ამიტომ ესაა არა 1871 წლის კომუნის განმეორება, როგორც ბალშევიკები ირწმუნებიან, არამედ ამ კომუნის კარიკატურა, საფრანგეთის წვრილ ბურჟუაზიულ ტერორიზმით შეზავებული.

აქ პოლიტიკის შინაარს უკარნახებს არა პროლეტარიატი, არამედ ჯარი, გლეხკაცობისაგან გამოსული; შემთხვევითი კი არ არის ის მოვლენა, რომ ლენინი იძულებული შეიქნა ესერების რეაქციონური სოციალიზაცია აღიარებინა, რასაც ის ყოველთვის ებრძოდა, და სამართლიანი დემოკრატიული ზავის ნაცვლათ „ზავი რათაც უნდა დაჯდეს“ წამოეყენებია. როგორ მოექცა ეს მთავრობა დამფუძნებელ კრებას?

ამ უკანასკნელმა დიქტატურამაც ვერ მოგვცა ის კანონმდებლობითი დაწესებულება, რომელსაც შეეძლოს რუსეთის რევოლიუციის გარკვეულ კალაპოტში ჩაყენება. პირ-იქით იგი წინააღმდეგი გამოდის დამფუძნებელი კრების და უტოპიურ მისწრაფებების სახელით ებრძვის დემოკრატიის გაბატონებას და დემოკრატიულ რესპუბლიკანურ ფორმების შექმნას და განმტკიცებას.

ამრიგათ მთავარი პრობლემა რევოლიუციის, მის პირველ დღიდანვე წამოყენებული—მოწვევა დამფუძნებელ კრების—დღესაც პრობლემათაა დარჩენილი და ამით საკითხი ზავის, მიწის და სხვა დეკრეტობანიას არ გასცილებია. 1917 წელი ამ დამფუძნებელი კრების მოწვევისათვის ბრძოლაში ჩატარდა.

ახალი წელიწადი თვით დამფუძნებელ კრების და ლენინის დიქტატურის შორის ბრძოლის ხანაში იბადება და რომელი გაიმარჯვებს?

დამფუძნებელი კრება და მასთან რევოლიუცია, თუ ლენინის დიქტატურა და მისი მემკვიდრე საშინელი რეაქცია—აი პრობლემა ახალი წელიწადის... და ჩვენ გვწამს, რომ გამარჯვება პირველს დარჩება, დიდი რევოლიუცია დიდი მემკვიდრეობით დაგვირგვინდება.

მეორე პრობლემა გასული წლის—ესაა რუსეთის მთლიანობის შენარჩუნება. თებერვლის რევოლიუციამ მთელი რუსეთი შეკრა ერთ მრავალ დ განუყრელ ოჯახათ. თითო-ოროლა ხმა გამოყოფის ინთქებოდა მთლიანობის საერთო სურვილში. ოქტომბრის გადატრიალებამ და ამით გამეფებულმა ანარქიამ დაბადა დაქსაქსულობა რუსეთის, დაყო იგი ცალკე შტატებათ, ერებათ, რესპუბლიკებათ. აქ თითეული კუთხე იცავს თავს ბალშევიზმის დამღუპველ ანარქიისაგან, როგორც მაგ. კავკასია, უკრაინა და სხვ. ზოგი კი ცდილობს რეაქციის ბუდეთ იქცეს და მომავალ ვანდეას ამზადებს მაგ. დონი კალედინის მეთაურობით.

ამ რიგათ აჭრელდა რუსეთის მდგომარეობა. დაიყო მთლიანი რუსეთი, დაცალკევდა რაზმები რევოლიუციის. ამ მხრივ წარსული წელი უმთავრესათ დაშლის და დარღვევის წელიწადი იყო. ყოველი შენაძენი ან მონაპოვები რომანოვების მეფობისა, დაიშალა და ახალ კალაპოტს ეძებს ახალი ცხოვრებისათვის.

1918 წელმა უნდა შექმნას ეს ახალი ფორმა რუსეთის კუთხეთა და ერთა თავისუფალ თანამშრომლობის, რუსეთის დაქსაქსულ დემოკრატიის გაერთიანების, ერთ ჯარათ შედუღების, ერთ რაზმათ დაწყობის და ასე რევოლიუციის გამარჯვებით დაგვირგვინების.

და ეს შეიძლება მხოლოდ დამფუძნებელ კრების მოწვევით და მისი ნაყოფიერი მუშაობით.

მაშ გაუმარჯოს მომავალ წელს, გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას!

## როგორ ატყუებენ ბალშევიკები ხალხს

კავკასიის დემოკრატიის შეგნებამ და კავშირმა სასტიკი დამარცხება არგუნა ბალშევიკებს.

მათ განიზრახეს მუშათა ყრილობის ჩაშლა და ამისთვის დასტოვეს ის. ყრილობამ მუშაობა განაგრძო და ღირსეულათაც დაასრულა. ბალშევიკები გარიყულნი დარჩენ. მათ გადასწყვიტეს ამიერ-კავკასიის მთავრობის ჩამოგდება და მის ალაგას შაუმიანის გაკომისარება. ამისთვის მათ მიმართეს უმცირესობის მიერ უმრავლესობის დამორჩილებას, მაგრამ აქაც ანგარიში მოტყუვდენ. მიმართეს „რეალურ“ ძალას—ჯარს, მაგრამ მათი მიმართვა დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“—შეგნებული ჯარი აბა როგორ გაყვება პროვოკატორებს, თუნდაც სოციალისტურ სამოსელში გახვეულებს. შეგნებული ჯარი ძმათა სისხლს არ დაღვრის, ხოლო შეუგნებელი საკმაოთ მოქანცულია იმისთვის, რომ ადგილობრივ მცხოვრებთ დაერიოს: მართალია მას საჩუქრათ მოელის კარგი მსუქანი ნადავლი, მაგრამ ამისთვის მას ბრძოლა მოუხდება ადგილობრივ დემოკრატიასთან და ამდენი გამბედაობა მას არ შესწევს.

ჭეშმარიტად ტრაღიკულია ბალშევიკების მდგომარეობა. ამით აიხსნება ის დინჯი კილო, რომლითაც „ბრძოლა“ მიმართავს თავის მკითხველებს.—„საყურადღებოთ“—ასეთი სათაურით სწერს ის თავის განცხადებას.

— „ჩვენი ობორონცების განდგომამ შესაფერი ნაყოფი გამოიღო. მათ დაშალეს მუშათა საბჭოების სიეზდი“-ო. ნათქვამია, ავი კაცი აღდგომასაც ავიაო. „სიდინჯემ“ მაინც ვერ იხსნა ბალშევიკები ტყუილებისაგან. ჩვენ ვერ მივსწვდით „ბრძოლის“ სიტყვიერების სიბრძნეს, მაგრამ როგორც ჩვეულებრივმა მომაკვდავებმა ჩვენ ვიცით, რომ „განდგენ“ და ყრილობა დასტოვეს არა „ობორონცებმა“, არამედ ბალშევიკებმა. ორი სტრიქონით ქვემოთ „ბრძოლა“ თითონ ადასტურებს ამ მარტივ აზრს: „სამრეწველო პროლეტარიატის 72 წარმომადგენელი იძულებული გახდეს სიეზდს გასცლოდაო“. ცხადია „ბალშევიკები“ თითონ „განდგომილან“. კარგი კი იქნებოდა „ბრძოლას“ ეთქვა თავის მკითხველებისთვის, თუ რათ „განდგენ“ ისინი, ან მათი სიტყვებით რომ ვთქვათ, რითი გახადეს ისინი იძულებული „განდგომილიყვენ“ ან სიეზდს გაცლოდენ. „ბრძოლამ“, ალბათ სტრატეგიული მიზნით, ამის სანაცვლოთ „რევოლიუციონური“ ყიჟინა მორთო: „გაუმარჯოს 72 წარმომადგენელს კავკასიის პროლეტარიატისას“-ო.

მაინც რისთვის გაიქცა ეს 72 წარმომადგენელი, რომელსაც ახლა გამარჯვებას უსურვებს „ბრძოლა“. მისთვის, რომ მათ არ მისცეს თითოს ოთხ-ოთხი ხმა, როგორც თხოულობდენ.—თითო კაცს თითო ხმა—იყო დრო, როცა ბალშევიკები ჩვენთან ერთად აყენებდენ ასეთ მოთხოვნას. დღეს თითო ოთხ ხმას ითხოვს და როცა ამ ბავშურ მოთხოვნას არ ვაკმაყოფილებთ—ისინი იბუტებიან, ყრილობას თავს ანებებენ. ასეთია „მუ-

შოთა და გლეხთა მთავრობის" მოციქულების დემოკრატიზმი! მათ კავკასიის არმიის რასკოლი მოახდინესო, ამბობს „ბრძოლა" მენშევიკებზე. 48 „ობორონეცი" საბჭოს წევრი გამოეყო 52 ინტერნაციონალისტს და თავი არმიის საბჭოთ გამოაცხადეს. ბალშევიკებს კარგათ გაუზეპირებიათ, რომ 52 ოთხით მეტია 48-ზე. მაგრამ მათს ჭკუას აღემატება იმის გაგება, რომ 52 გაცილებით ნაკლებია არმიის 48 წევრზე და საერთო ცენტრის ორ ნაწილზე—მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებზე. ერთი მხრით 52 წევრი, ხოლო მეორე მხრით 48 წევრი და ორი საბჭო თავისი სრული შემადგენლობით. რომელი მეტია „ბრძოლის" ბრძენო ხელმძღვანელებო? ან იქნებ თვისებით სჯობია თქვენი 52 წევრი. მოიგონეთ ყრილობაზე თქვენი მარცხენა ჯგუფიდან წამოხროლილი სიტყვები მოლაპარაკე ებრაელის საპასუხოთ: „წყეული ჟიდი" და თქვენი კუდის მემარცხენე სოციალისტ-რევოლიუციონერის მიერ ასეთი საქციელის დაცვა. მაშინ თქვენ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდით, როგორც გვახსოვს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბალშევიკების მიმყოლი მუშები კარგათ გრძნობენ იმ აბირებულ მდგომარეობას, რომელშიაც ისინი მოყვენ უპასუხისმგებლო მეთაურების მეოხებით.

ამიტომ მუშებს არ შეუძლიათ ღიმილით არ შეხვდენ ბალშევიკების მოწოდებას: „ძირს ამიერ კავკასიის კომისარიატი"-ო. ამ ვაჟბატონებმა ყურები გამოგვიჭედეს—მთელი ძალა-უფლება საბჭოებსო. ამიერ-კავკასსიის კომისარიატი ხომ საბჭოებისგან არის არჩეული და საბჭოების წინაშე აგებს პასუხს. ცხადია, ბალშევიკები არ დაგიდევენ საბჭოების ძალა-უფლებას. მათ სურთ თავისი ფრაქციის შეხედულება საბჭოს მოახვიონ და როცა ეს არ გაუდით საბოტაჟს მიმართვენ.

მუშათა კლასმა და საერთოდ დემოკრატიამ კარგათ უნდა დაიხსომოს, რომ ბალშევიკები მას უცერემონიოთ ატყუებენ.

# 1917 წელი

საუკუნის ტოლი წელი ჩაესვენა ისტორიის წიაღში. საუკუნეს ტოლა იმიტომ, რომ სრული ასი წელიწადი ოცნებობდა, იბრძოდა, იტანჯებოდა კაცობრიობის საუკეთესო ნაწილი ამ წელიწადის მოსაახლოვებლათ. საუკუნეს ტოლა—იმიტომ, რომ იგი შეიცავს შედეგს და ნაყოფს მთელი საუკუნის ბრძოლისას. საუკუნის ტოლა—იმიტომ, რომ შინაარსი მისი მთელი საუკუნის თანდათანობით პროცესსის გამოჩენა, დამთავრება და დაგვირგვინებაა. საუკუნის ტოლა—იმიტომ, რომ მისი განცდანი და მოპოვებანი მთელ საუკუნეს უდრის თავის სიდიადით და მრავალფეროვანობით. საუკუნის ტოლა—იმიტომ, რომ იგი დასაბამია ახალი ხანის, ახალი ისტორიის, გადაშლაა პირველი და მრავალშინაარსიანი ფურცლის, იგი დასაწყისია რუსეთის განახლების, გარდაქმნის, გადახალისების.

იგი პირველი წელია რუსეთის დიადი რევოლიუციის.

დროთა ბრუნვის მიხედვით მას 12 თვეც არ შესრულებია. იგი განსაკუთრებული წელიწადია, რომელიც არ გავს წარსულ წლებს და არც მომავალს. იგი 1 იანვარს არ დაბადებულა. არა, მისი წარმოშობა 27 თებერვლიდან იწყება. წინა დღეები ძველ წელიწადს ეკუთვნის აზრით, შინაარსით, მიზნებით. აქედან კი იწყება ახალი დღეები, ახალი ნათელი, ახალი ცხოვრება ახალი შინაარსით, აზრით და მისწრაფებებით.

გუშინ მონა—დღეს თავისუფალი მოქალაქე, გუშინ ტახტი—თავზარ დამცემი, დღეს თავზარ დაცემული; გუშინ მათრახი და ხიშტი—ხალხის წინააღმდეგი—დღეს ხალხის მტერთა წინააღმდეგ. გუშინ გმინვა და ტირილი, დღეს შვება და სიხარული; გუშინ მდიდართა და მძარცველთა სამეფო—დღეს მშრომელთა და ღარიბთა ბატონობა,—აი ამ ახალი წლის სურათი.

დიახ, განსაცვიფრებელია ეს წელიწადი, რომელიც ოცდა შვიდ თებერვალს დაიბადა. იგი თვით არის ერთი დიდი და ჯერ კიდევ დაუსრულებელი პროცესი მშობიარობის.

ახალი რუსეთი იბადება. რუსეთის ხალხს ახალი ცხოვრების გზა ეხსნება. მუშებს და გლეხებს წინ ახალი უკეთესი მერმისის პერსპექტივები ეხატება: მუშებს—8 საათის სამუშაო დღე, გლეხებს—მიწა, ორივეს კი თავისუფლება, მტკიცე კავშირი და გაშლილი გზა საბოლოო საკაცობრიო ბედნიერებისკენ, სოციალიზმისკენ. დიახ, გასული წელი მშობიარეა და, როგორც ყოველი მშობიარე,—ტკივილებით სავსე. იგი ვაების და ტკივილების წელიწადია. მარა ესაა ტკივილები სიხარულით შეზავებული, ესაა ვაება—გამარჯვების ყიჟინასთან შეერთებული, ესაა ოფლი—სამური სიოსაგან გაგრილებული. მხოლოდ სულით სუსტნი და გულით ლაჩარნი—ძრწიან და სხივიან მისი დიადი ტკივილების წინაშე. ეს ტკივილები კი მრავლისაგან მრავალია: გარეშე ომი და შინ სამოქალაქო სისხლის ღვრა, აგრარული არეულობანი და ანარქია, გამწვავებული მდგომარეობა კლასთა ურთიერთობის და რკინის საბუთი—სიტყვიერ საბუთის მაგიერათ, დიქტატურა და ავანტიურა, ერთი სიტყვით, ამოქმედება ყველა და ყოველი ინსტიქტის,—ამოძრავება ავის და კარგის—აი მიზეზი და საგანი ამ ტკივილებისა.

რუსეთი საკვირველების ქვეყანაა და წარსული წელი თავის განსაცვიფრებელი რევოლიუციით ერთ უდიდეს საკვირველებას წარმოადგენს. იგი შვილია დიდი ხნის ისტორიის და თავის წიაღში ატარებს ყველა მის ნაშთობლივ თვისებებს... თვალუწვდენელ სივრცეზე აგორებს იგი მოძრაობის უდიდეს ტალღებს, შეუბრალებლათ არღვევს გუშინ აშენებულ კედლებს, გრგვინავს, ვით გაცოფებული ზღვა, იქაფება, ვით ტალღათა ქოჩორი; მასში დამარხული შემოქმედება და დარღვევის ნიჭი, ანგელოზი და ქასქანჯიელი, იმედი და უილაჯობა, სასოება და სასოწარკვეთილება, ბრწყინვალე სხივი შვენებისა და ბნელი სტიქია უგნურებისა, ცხოვრება და სიკვდილი, სულგრძელობა და სულმოკლეობა, უდიდესი კულტუროსნობა და უსაშინელესი ბარბაროსობა, ნათელი ადამიანობა და გულშემზარავი მხეცური სურათები, თვალწარმტაცი იდეალიზმი და ქვენა-გრძნობათა წამბილწველი გამომჟღავნება, სხივფენილი სათნოება და აღუწერელი ბოროტება. და ერთათ დიდის ქვეყნათ შემოქმედი და ბელზებელი, ერთათ სდუღს რევოლიუციის ალზე კეთილი და ბოროტი, სამერმისო იმედი და წარსულის წყევა-კრულვა, დიადი ჩანასახები მომავალი თავისუფლების და საზარელი ნაშთები წარსული მონობის.

იბრძვის გენია ხალხის შემოქმედების და გენია უვიცობის, იბრძვის ომი პირსისხლიანი და თავისუფლება მოცინარ-მომღიმარი, იბრძვის გახრწნილება და მოქალაქეობა, რევოლიუციური სიმამაცე და რეაქციონური შავრაზმელობა. ერთი სიტყვით, წარსული და მომავალი. ეს ორი მოპირდაპირე გადაკვანძულან, გადაბმულან, შენასკულან აწმყოში და ამით ჰქმნიან გასული წლის დაუსრულებელ და დიად ტრაგედიას.

გასული წელი მთელი საუკუნეა და კიდევ მეტიც. ძველ საუკუნეთა სამარე—იგი ახალ საუკუნეთა დედა-მშობელია. ორივე მის წიაღში ისახება. იგი ამ ორი ეპოქის ერთპიროვნებაში გამომხატველია, ორი მოპირდაპირე ხანის თავის კალთებში მატარებელია. და ამიტომ იგი შეურიგებელი, დაუნდობელი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის ასპარეზია. იგი ბრძოლის სისხლით სწმენდს ცხოვრების ჟანგს, სისხლით იშორებს წარსულის ხავსს, რომ განბანილი შეეგებოს მომავლის ტროფობას, განახლებულ კაცობრიობის წმინდა სარეცელს. იგი სისხლის მორევში ალრჩობს წარსულის ბოროტებას და ყვავილოვან ტახტს უმზადებს მომავლის ბრწყინვალე გაზაფხულს.

წარსული წელიწადი ბრძოლის და დუღილის წელიწადია. იგი დღეს ერთს ატიტინებს ზევით, ხვალ მეორეს, დღეს ერთს უჩვენებს გზას უფსკრულისაკენ, ხვალ სხვას ჩააყურყუმელავებს. საუკუნოებით ცვალებადობას იგი თვეობით, კვირეობით აწარმოებს, არავინ არ ურჩება მას გაუბატონებელი და დაუმხობელი... ასეთია ბრძოლის ჩარხის გამალებული ტრიალი.

მას ბევრი ყავს მოთაყვანეც და დამაწყევარიც. ბევრისთვის იგი სამუდამო სამარეა, ბევრისთვის გამომწრთობელი სამჭედლოს ქურა, ბევრისთვის დამწველი ალი, ბევრისთვის მაცოცხლებელი სურნელება. ცხოვრების ზედაპირი მან გადარეცხა და ახალ ამომავალ კლასთა დუღილში ატარებს თვეებს, რომელნიც საუკუნეთ უდრიან.

წარსული წელი—ეს დაუსრულებელი წინააღმდეგობის წელიწადია: ომის და ზავის, ომის და რევოლიუციის, სიცოცხლის გამჩანაგებელ და ცხოვრების განმაახლებელ დასაწყისის. და ეს ბრძოლა, ჰიდილი ერთვის შინაგან დუღილს რუსეთის ცხოვრებისას. მსოფლიო მოვლენა ეჰიდება რუსეთისას. რუსეთის ქარიშხალი შემუსვრას პირდება მსოფლიო ძალთა პირს და მის ალაგს თვით ღამობს მსოფლიო მოვლენათ გადაქცევას. ომი ემუქრება ახლათ გამოჰიატებულ სინათლეს რუსეთის თავისუფლებისას, რუსეთის თავისუფლების სხივი იმუქრება მთელ ევროპის შემოვლას და ომის ნანგრევებზე მუშათა სუფევის დამყარებას. წარსული წელი ამ ჰიდილში ჩატარდა, და ბრძოლის ასპარეზზე მომავალს გადაეცა.

ასეთია ეს ორპირი, ორთავიანი, ძლიერი, რთული და გამოუცნობელი წელიწადი, წელიწადი ნამდვილ საკვირველებათა და სასწაულთა. იგი დიდებულია და ამ დიდებას ანდერძათ უტოვებს თავის მემკვიდრეს. იგი დუღილის წელიწადია და ამ დუღილით გადადის ახალში. იგი ბრძოლის წელიწადია და ბრძოლის ყიჟინით ეგებება თავის მემკვიდრეს მშობიარობის წუთს. ძველი წელი მიდის, მარა ის არ კვდება. იგი ახალშიაც იმავ სახით იარსებებს. თებერვალში დაბადებულმა დაარღვია წესი დროთა ბრუნვის ნორმალური მსვლელობის, და მისი დასასრულიც ჩვეულებრივ წესს არ ექვემდებარება. იგი დღეს მხოლოდ გადადის ახალი წლის წიაღში მთელი თავის სირთულით, მთელი თავის დიადი პრობლემებით, მთელი თავის დიდებული დაწყებულებით. 1917 წელი არ დასრულებულა, და არც დასრულდება, სანამ არ დამცხრალა დუღილი, რომელმაც პირველათ 27 თებერვალს ამოიჩუხჩუხა, არ დასრულდება, სანამ არ დამთავრებულა პროცესი ახალი რუსეთის მშობიარობის, იგი ამით გადაეჯაჭვა ახალ წელს, მთელი თავის არსებით, აზრებით, მისწრაფებებით, ლტოლვილებით, ამოცანებით, იგი სფინქსივით სდგას დღეს ჩვენს წინაშე და ახალი 1918 წლისაგან ელის დამთავრებას, გადაჭრას, გამუქებას. ახალი წელი არასოდეს არ ყოფილა ისე დატვირთული მემკვიდრეობით როგორც დღეს, არასოდეს არ ყოფილა ისეთი რთული და აურაცხელი სიმდიდრის მიმღები, როგორც ახლანდელი და ახალი მიიღებს ამ სამკვიდროს, გაუძლევა ნაანდერძევ ბრძოლას, დაასრულებს ახალის გაჰედვას, დააგვირგვინებს თებერვალ-მარტის დიდებულ დღეებს.

1917 წელი წავიდა, გაუმარჯოს ახალ წელს!

1917 წელი უმთავრესათ რუსეთის წელია, თუმცა იგი მთელ ევროპასაც უდიდეს წლათ მოევლინა. იგი რუსეთის ტალღებზე ქანაობს, თუმცა მისი ტალღების მძლავრი ხმაურობა მთელ დედამიწას ესმის, მთელ კაცობრიობას აბორგოქრებს. ზოგს იმედით ავსებს, ზოგს შიშით აკანკალებს, აიმედებს მაშვრალთა და დაჩაგრულთ, შიშსა და ძრწოლას უნერგავს მდიდართა და გაბატონებულთ. იგი რუსეთის ფარგლებში აწარმოებს გაალმასებულ მუშაობას განახლებისას, მარა მთელ მსოფლიოსაც ხვდება მისი წმინდა ალი რევოლიუციის, ხუთსავე ქვეყნის ნაწილებში შეაქვს მღელვარება, წინამორბედი განახლების და განთავისუფლების. ამით გასული წელი მსოფლიო მნიშვნელობის წელიწადია. რუსეთის პრობლემა უკვე მთელი თავის სიმწვავით დაიმსხვრა. ევროპის პრობლემა კი მხოლოდ ეხლა ისმება. და 1918 წელს რჩება ანდერძათ ევროპის ჩამოგდება რუსეთის ორბიტაში, ევროპის ტახტთა შერყევა—ევროპის მუშათა გამძლავრებით. რუსეთში მუშათა ბრძოლის ყიჟინა კიდით კიდემდე მოედო. 1918 წელმა ეს ყიჟინა უნდა მსოფლიოს მოსდვას და განახლების წმინდა დუღილი ყველგან გაამეფოს.

წარსულმა წელმა რუსეთში რევოლიუცია წარმოშვა, მომავალმა წელმა იგი უნდა მსოფლიო რევოლიუციათ გარდაქმნას. ასეთია ანდერძი მომავალი წელიწადის.

მაშ მედგრათ, შეუდრეკლათ, წინ, წინ, ამხანაგებო და მოქალაქენო, ახალი განცდისაკენ, დიად და მღელვარე მომავლისაკენ!

რუსეთის რევოლიუცია მოძრაობს და ევროპის რევოლიუციის მოლოდინშია. წინ, მეგობრებო, გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას! 1917 წელი დასრულდა. გილოცავთ ახალ წელს, ახალ ბრძოლას, ახალ გამარჯვებებს!

**„ერთობა"-ს შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 3 იანვარს.**

# ახალი ამბები

**ახალქალაქს თათრები თავს დაესხნენ.** დეპეშით იტყობინებიან, რომ ახალქალაქს თავს დასხმიან თათრები, გარდა ერთისა ტელეგრაფის მავთულები გადაუჭრიათ. სოფელ ბოგდანოვკაში მოუკლავთ ექვსი თათარი, რომლებსაც ტელეგრაფის მავთულების დაჭრა უნდოდათ. თხოულობენ დახმარებას.

**ბრძოლა სად. გუდერმესზე.** საგანგებო დელეგაციის წევრი პომერანცევი დეპეშით შემდეგს აცნობინებს ამიერ კავკასიის კომისარიატს: „გუდერმესზე (კავკავის რკინის გზა) საშინელი ბრძოლაა. სადგური ნახევრათ დაიწვა, მოსამსახურეები გაიქცენ. მოძრაობა სრულიად შესწყდა. სად. ჩერვიანშიც საშინელი მდგომარეობაა. გთხოვთ გამოგვიგზავნოთ არა ნაკლებ ერთი პოლკის ამ ზამთარში აქ დასარჩენათ, რომ მოძრაობა ალვადგინოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჯავშნიანი მატარებლები მიდიან. და ყველაფერი დაიღუპება".

**ორ ნახევარ მილიონ მანეთის გაძარცვა.** ჯარის საოლქო კომისარი ამიერ კავკასიის კომისარიატს დეპეშით ატყობინებს, რომ 28 დეკემბერს ღამით გაძარცვეს სარიყამიშის საველე საფოსტო კანტორა. წაიღეს ორ მილიონ ნახევარი მანეთი. ფულები ვერ აღმოაჩინეს. ეჭვით დააპატიმრეს ფოსტალიონი ორთლაძე. გამოძიება სწარმოებს.

**სასურსათო საწყობების განადგურება.** ბაქოიდან შემოვალმა ეშელონმა განჯის სადგურზე გაანადგურა სასურსათო საწყობი. გაიტაცეს 6 ვაგონი ფქვილი და 1 ვაგონი შაქარი. სად. ევლახზე გაიტაცეს 7 ვაგონი შაქარი და 8 ვაგონი ფქვილი. საწყობების შენობები სულ გადაბუგეს.

**საზოგადოებრივ დაცვის კომიტეტი განჯაში.** როგორც ამიერ კავკასიის კომისარიატს დეპეშით ატყობინებენ, შესდგა საზოგადოებრივი დაცვის კომიტეტი. პირველ კრებაზე აირჩიეს პრეზიდიუმი—თავმჯდომარეთ ალასქერ ხასმამედოვი, ამხანაგებათ გუმელი და ამასპიური, მდივნათ ასტროვსკი და მუსტაფაევი. კომიტეტი უკვე შეუდგა თანამდებობის ასრულებას და სთხოვს ამიერ კავკასიის კომისარიატს გაუგზავნოს ერთი მილიონი მანეთი 1200 კაცისაგან მილიციის შესადგენათ და ფოსტის გადასატანათ 4 საბარგო და 8 სამგზავრო ავტომობილი.

**მატარებლების მიმოსვლის შეჩერება ღამით.** ამიერკავკასიის რკინის გზის უფროსს განჯიდან ინჟენერი კოზიკი დეპეშით შემდეგს ატყობინებს: „სადგური ღამით ჩაბნელებულია, მატარებლები უკონდუქტოროთ მიდიან. მოსალოდნელია კიდევ მოხდეს უბედურება. ვსწყვეტთ ღამით მოძრაობას განჯასა და სად. ლიაქის შუა".

**შეტაკება არჩევნების დროს.** გეოკჩაიდან იტყობინებიან, რომ 22 დეკ. ნაციონალურ კომიტეტის ხელ-ახალ არჩევნების დროს, თავმჯდომარე მამედ ზადეს მოუყვანია შეიარაღებული ხალხი, რომ არ გაეშვავებით. ორ პარტიას შეტაკება მოუხდა, ატყდა საშინელი სროლა, რომლის დროს მოკლეს ორი და დასჭრეს 8 კაცი, გაძარცვეს კომიტეტი, გაიტაცეს ნახევარი მილიონი მანეთის ღირებული ქონება.

**რკინის გზის მოძრაობის შეჩერება.** რადგან სად. გუდერმესზე კიდევ არეულობაა, კავკავის რკინის გზაზე ბალაჯარიდან მხოლოდ ხასავ-იურტამდე მიდის სამგზავრო მატარებლები, ხოლო საქონლის და სხვა მატარებლების მიმოსვლა სრულიად შესწყდა.

**ამიერ-კავკასიის რკინის გზის დეფიციტი.** გამოანგარიშებულია, რომ 1918 წელს ამიერ-კავკასიის რკინის გზას 10.854,000 მანეთით დეფიციტი (ზარალი) ექნება.

**„ალიონის" ჯგუფის თათბირი.** 27 დეკემბერს ქართულ კლუბში გაიხსნა სოციალ-დემოკრატ „ალიონის" ჯგუფის თათბირი. თავმჯდომარეთ აირჩიეს პ. ქავთარაძე, მდივნათ დ. სულიაშვილი. მოხსენება გააკეთეს: პ. საყვარელიძემ—„ნაციონალური კითხვა და სოციალ-დემოკრატია და „ალიონის" ჯგუფის წარმოშობის ისტორია". ი. გომართელმა—„ეროვნება და აგრარული საკითხი", პ. ქავთარაძემ—„მიმდინარე მომენტი", კ. ქავთარაძემ—„მუშათა ორგანიზაცია", ნ. ქარცივაძემ—„ჯარის ნაციონალიზაცია". თათბირს ასამდე დელ. დაესწრო.

**ქალაქის სესხი.** თფილისის ქალაქის საბჭომ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაამტკიცა გამგეობის პროექტი ხუთი მილიონი მანეთის სესხის აღების შესახებ. ქალაქის გამგეობამ 29 დეკემბერს მიმართა ამიერ კავკასიის კომისარიატს ნება დართოს ამ სესხის აღებისა.

**სურსათის საწყობზე თავდასხმა.** 29 დეკემბერს ღამით რამდენიმე შეიარაღებული უცნობი თავს დაესხა ავლაბარში სურსათის საწყობს. მათ უნდოდათ გაეტანებათ ორი ვაგონი, რომელიც შაქრით დატვირთული იყო, ქართული პოლკის ჯარისკაცებმა და წითელ გვარდიელებმა შაქარი გადაარჩინეს. სროლა დილამდე გაგრძელდა.

**თფილისის მაზრაში** დამფუძნებელი კრების არჩევნებში თფ. საარჩევნო ნაწილში № 1 მიიღეს: 5141 ხმა, 2—72, 3—2730, 4—2297, 5—37, 6—11, 7—23, 8—220, 9—2; სართიჭალის რაიონში № 1—10,919, 2—6, 3—55; თფილისის ახლო მდებარე სოფელთა რაიონში—№ 1—4873, 2—29, 3—25, 4—110, 5—65, 6—12, 8—24, 11—141; ყარაიაზის რაიონში № 1—122, 11—3575, 2—6, 3—407, 4—19, 5—164, 10—23; სულ მაზრაში მენშევიკებმა მიიღეს 21055 ხმა, გუმეტმა—3716, კადეტებმა—109, ესერებმა—3217, დაშნაკელებმა—2416, ბალშევიკებმა—312, ს.-ფედერ.—190, სომ. სახ. პარტ.—23, ეროვნ.-დემოკრ.—460, სახ. სოც.—2, მუსავატმა—269.

**უმუშევრობა.** დონის, ყუბანის და თერგის საოლქო შრომის ბირჟა იტყობინება, რომ დონის ოლქში, ჩრდილოეთ კავკასიაში და ყუბანის ოლქში ძრსად მუშათათვის თავისუფალი ადგილი არ არის და ყველგან უმუშევრობა იწყება.

**სამგლოვიარო წერილი.** ევგენი ბერჭულაძისაგან სამგლოვიარო წერილი მივიღეთ ხარიტონ მანთიძის გარდაცვალების გამო.

**გაზეთების შეწყვეტა.** დღეს უკანასკნელათ ეგზავნება გაზეთი ყველა იმ აგენტებს, რომლებსაც პირველ იანვრისთვის კანტორაში „განათლებაში" ანგარიში არ აქვთ, ეს განსაკუთრებით ვრცელდება გორზე და სოხუმზე.

### კრებები და მიტინგები.

დღეს, საღამოს 7 საათზე, მე-6 სავაჟო გიმნაზიაში (უდელის ქუჩა № 3) დანიშნულია ვერის წითელ გვარდიელების (პირველ, მეორე და მესამე სამილიციო უბნის) წევრთა საერთო კრება. კრებაზე მოხსენებას გააკეთებს ამხ. ვალიკო ჯუღელი.

— დღეს დილით ათ საათზე დანიშნულია ქალაქის საბჭოს ს.-დემოკრატ მენშევიკთა ფრაქციის კრება. განსახილველია მნიშვნელოვანი კითხვები, ამიტომ სთხოვენ ამხანაგებს უთუოთ დაესწრონ.

# პროვინციის ქრონიკა

**აბასთუმანი.** 23 დეკემბერს, პოლიტიკურ ავადმყოფთა სანატორიაში თავი მოიწამლა ნიკო ნიკოლაძის ქალმა, რომელიც იმავ ღამეს გარდაიცვალა.

— არდაგანიდან ჯარი მოდის, შეშინებულნი მცხოვრებნი ზოგნი ახალციხიდან აბასთუმანში გადმოდიან.

**ყვირილა.** მთელ ყვირილის რაიონში ყაჩაღთა თარეშობამ ადგილობრივი მცხოვრებნი უკიდურეს მდგომარეობაში ჩააგდო. სოფლებში გაიმართა კრებები და შეადგინეს რაზმები ყაჩაღებთან საბრძოლველათ. ამ მხრით ყველას სვირმა აჯობა. იქაურ რაზმელებმა მიაგნეს ყაჩაღთა ბუდეს და ოცი ყაჩაღი დაიჭირეს. აღმოაჩინეს ბევრი იარაღი და ნაქურდალი ნივთები.

**სოფ. მეორე ეწერი** (სამეგრელო). თითქმის ორი თვეა, რაც აქაური სამკითხველოსათვის შემოწირული სახლი ნაყიდი და მოტანილი, აუშენებლათ ყრია მინდვრათ. ამ დღეებში, როგორც იყო, შეუდგენ აშენებას და საქმეც კარგათ მიდიოდა, რომ ხალხის მტერს აქაც ხელი არ შეეშალა. ვიღაც სახლის წინა კედლის და ჭერის ფიცრები ნახევრათ წაუღია. სოფელი ამ შემთხვევამ ძლიერ აალელვა.

**ნაგვაზოუს საზოგადოება** (სენაკის მაზრა) შესდგება სამი უბნისაგან. სოფელი ნაგვაზოუში მიმდინარე წელს სიმინდის მოსავალი კარგი იყო. დიდი ხუნწი და სუხრე, მოუსავლობის გამო შიმშილს განიცდის. ამ მდგომარე წელს, ოთხი-ხუთი თვე გამდგარი წვიმის გამო სიმინდის მოსავალი ალაგ სავსებით არ ყოფილა, ზოგან თუ კი იყო, ისიც უმნიშვნელო. მცხოვრებთა უმრავლესობას სარჩო—სიმინდი დღესვე გამოლეული აქვს. ქალი თუ კაცი ტომრით ხელში სიმინდის საყიდლათ დაწანწალობს.

**სოფ. ლესა** (გურია). სოფელ ლესის პლატფორმაზე მოდის ფოსტით წერილები. წერილებს სანამ პატრონი მიიღებდეს, გამხსნელი და წამკითხველი პირები ბევრი უჩნდებათ. ესენი არიან ქალები. უმორჩილესათ ვსთხოვ ასეთ პირებს, დაეთხოვონ ასეთ ყოფაქცევას, თორემ იძულებული ვიქნები მათი სახელი და გვარი გამოვაცხადო გაზეთში.

**ძირა თავასა და ზოვრეთი.** 14 დეკემბერს ძირა თავასაში ადგილობრივმა მცხოვრებლებმა დაატუსაღეს შორაპნის მაზრაში კარგად ცნობილი ყაჩაღი ჯაფარიძე. ჯაფარიძეს ორი კაცი ყოლია მოკლული. ჯაფარიძე სოფელმა გადასცა ჩხარის რაიონის კომისარს. ხალხი მოითხოვს მის სამუდამოთ დატუსაღებას, რადგან დიდი შეწუხებული იყო ხალხი. უკეთუ მთავრობამ რაიმე „მანქანებით" ჯაფარიძე გაანთავისუფლა, იმ შემთხვევაში ბევრი იქნება ამ ყაჩაღის მსხვერპლი და ხალხს ნდობა აღარ ექნება მთავრობისა. ზოვრეთში ამ მოკლე ხანში თავს დაესხნენ ბოროტ-მოქმედები ადგილობრივ მცხოვრებს იოსებ კაპანაძეს. წაართვეს მთელი წლის ნაშრომი ღვინის ფული 2000 მანეთი და ბევრი სხვა ნივთები.

# განჯის ამბები

**საერთო მდგომარეობა რკინის გზაზე.**

27 დეკემბერს საგანგებო მატარებლით ელისავეტპოლში და საერთოდ მთელი რკინის გზის ლიანდაგის დასათვალიერებლათ და ზოგიერთ კითხვების მოსაწესრიგებლათ გაემგზავრა თფილისიდან საგანგებო კომისია. ამაზე ორი დღით წინ აკაკი ჩხენკელი გაემგზავრა ელისავეტპოლში განსაკუთრებულის უფლებებით აღჭურვილი. 28-ს დილით ვინახულეთ ამხ. აკაკი ჩხენკელი, რომელთანაც ერთად გავემგზავრეთ ადგილობრივ რაიონის რკინის გზის მუშების და მოსამსახურეების საერთო კრებაზე. თავი მოეყარა 200 მოსამსახურეებს, ესე იგი ყველას, ვინც არ გასულიყო ელისავეტპოლის სადგურიდან. მოსამსახურეებმა წარმოადგინეს მთელი რიგი მოთხოვნილებები, რომლებშიც უმთავრესი ყურადღება მიქცეული იყო თავდაცვის საკითხზე. რა თქმა უნდა მოსამსახურეთა შორის შიგა და შიგ გამორიგინენ ორი სამი ისეთი პირები, რომლებმაც სცადეს ელისავეტპოლში მომხდარ ამბებისათვის ნაციონალური ხასიათი მიეცათ და ამხედრებიათ მოსამსახურეები საერთოთ მთელი ერის მუსულმანების წინააღმდეგ, მაგრამ ამხ. ჩხენკელის და აგრეთვე ადგილობრივ მოსამსახურეთა შეგნებული ელემენტების წყალობით ეს ბურუსი გაფანტულ იქნა და განუმარტეს ყველას, რომ ეს არ არის ნაციონალურ ნიადაგზე მთელი მუსულმ. ერის მოძრაობა, არამედ ეს არის [illegible] ყველა მოთხოვნილებები შესაძლებელ ფარგლებში დაკმაყოფილებულ იქნა. ამ კრების შემდეგ გამართულ იქნა თათბირი, რომელზედაც გამომუშავებულ იქნა სხვადასხვა ტექნიკური ხასიათის ზომები მატარებლების წესიერად მიმოსვლის აღსადგენათ და აგრეთვე მოსამსახურეთა და ლიანდაგის დასაცავათ. ამხ. ჩხენკელი და კომისარიატის დელეგაცია გამოემგზავრენ თფილისისაკენ, ჩვენი კომისია კი გაემგზავრა საგანგებო მატარებლით ევლახისაკენ. ჩვენი მიზანი იყო ავსულიყავით ევლახში და იქ მოგვეწყო ტელეგრაფის აპპარატი. საქმე იმაშია, რომ ელისავეტპოლიდან ლიაკის სადგურამდე თითქმის ასი ვერსის მანძილზე მატარებლები მიდის ღვთის ანაბარა, არავითარი დამოკიდებულება არ არის, ტელეგრაფი გაფუჭებულია, „ჟეზლის" სისტემა მოსპობილია, რადგან სადგურები განადგურებულია და ასეთი გარემოების წყალობით არა ერთი და ორი მატარებელი დაიმტვრა. დიდი ბედნიერება არის კიდევ ის, რომ ელისავეტპოლიდან ევლახამდე ორი ლიანდაგია და ეს შველის მატარებლის მიმოსვლას. საათის 12-ზე გავემგზავრეთ ევლახისაკენ. ელისავეტპოლიდან ევლახამდის განადგურებულია ყველა სადგურები. შენობები გადამწვარია და დანგრეულია. ხის მასალა, რაც კი ყოფილა შენობებში გამოუჭრიათ და წაუღიათ. ზოგიერთი შენობების ნანგრევები ახლაც იწვის. სადგურებზე ალარაფერი ცოცხალი აღარ მოსჩანს. აქა იქ ჰყრია დახოცილი შინაური ცხოველები განსაკუთრებით ღორები. სადგურ ზაზალასთან განადგურებულია გუმელის ღვინის საწყობი, სადაც გავერანებულია აუარებელი ქონება, საცხოვრო შენობები ადამწვარია. რამდენიმე ათასი ფუთი ღვინო დაოხრებულია ზოგი ქვევრებში და ზოგიც ბოჭკებში. ჯარისკაცების და სამგზავრო მატარებლები იქ არ ჩერდება, თორემ ამდენ ხანს გასცლიდნენ, მაგრამ ელისავეტპოლიდან ლიაკამდის შეუჩერებლივ მიდის მატარებლები, რადგანაც შუაზე არც ერთი სადგური აღარ მოქმედებს. ჩვენ კი ყველა სადგურზე ვაჩერებდით მატარებელს ნანგრევების დასათვალიერებლათ. სადგურ კიუროკჩაიში განადგურებულია სადგურთან ერთათ „კეროსინოპროვოდის" სადგური, გაფუჭებულია ძვირფასი მაშინები. სადგურების გარდა განადგურებულია გზებზე პატარა „ბუდკები" რკინის გზის ლიანდაგის მცველებისა. სადაც ეწყო გზებზე სათადარიგო „შპალები" ან „რელსები" სულ გაუზიდავთ. აშკარათ ატყვია ურმების კვალი, რომლებიც მოყენებიათ საწყობებზე და გაუზიდავთ სოფლებში. ასეთი სურათია ევლახში ჩასვლამდი. საათის 3-ზე ჩავედით ევლახში. საზარელ სანახაობას წარმოადგენს ევლახი. სადგური განადგურებულია. ახლო-მახლო სულ ყველა შენობები გადამწვარია. ზოგიერთი იწვის ახლაც. განადგურებული და დამტვრეულია საქონლის სადგური და 200 ვაგონი. აუარება საქონელი ჰყრია დაოხრებული. განსაკუთრებით თევზეულობა. „მაზუთის" ბაკები, რომლებშიაც 200,000 ფუთი ეტევა თვითეულში დახვრეტილია ვინტოვკის ტყვიებით და მაზუთი გადმოდის და იღუპება. გადამწვარია რამდენიმე „პარაოზი" ევლახის დეპოდან. როდესაც ჩვენ ჩაველით ევლახში არცერთი ცოცხალი არსება იქ არ მოსჩანდა. ყველაფერს მკვდარი სიჩუმის ელფერი ადევს. ჩვენ შევუდექით დათვალიერებას დეპოს და სადგურის იმ ნაწილისას, სადაც უნდა დაგვედგა აპპარატი ტელეგრაფის. თან გვახლდა მოსამსახურეთა კადრი 40 კაცამდი და დარაჯთა გუნდი 25 კაცისაგან. ჩვენი მიზანი იყო აპპარატი დაგვედგა და ეს მოსამსახურეები დარაჯთა მფარველობის ქვეშ დაგვეტოვებინა. მოულოდნელათ ჩვენთან მოირბინა ერთმა მოსამსახურემ და განაცხადა, რომ შეიარაღებული თათრები გარს ერტყმიან სადგურსო. მართლაც ჩვენი მატარებლიდან 50 ფეხის ნაბიჯზე ირგვლივ უცბათ ყოველის მხრიდან გარს შემოგვერტყა თათრების შეიარაღებული გუნდი. ჩვეულებრივ არცერთი მატარებელი არ ჩერდება ევლახში და თათრებიც განაგრძობენ ძარცვას. ჩვენი მატარებელი როცა გაჩერდა და თანაც შეამჩნიეს შეიარაღებული ჯარისკაცები და მცველები, იმათ ეგონათ, რომ ჩვენ სადგურის აღსადგენათ და გასამაგრებლათ მივედით და ის იყო გარს შემოგვერტყენ. საკმარისი იყო ერთი პროვოკაციული თოფის გასროლა რომელსამე მხრივ, რომ საშინელი სისხლის ღვრა ადუღდებოდა. რა თქმა უნდა ამოგვხოცავდენ ჩვენ, რადგანაც, ჩვენ სულ 25 ვიყავით შეიარაღებულნი და ისინი კი როგორც გამოირკვა შემდეგ დაახლოვებით 800 კაცამდის იყვნენ. თათრებმა გვამცნეს, რომ დაუყოვნებლივ დაგვეტოვებინა სადგური და გავსულიყავით. არ მიაქციეს ყურადღება ჩვენს განცხადებას, რომ ჩვენ მოსამსახურეები ვართ და ტე-

ლეგრაფის აღდგენა გვინდოდა. ჩვენ მაშინვე დავსტოვეთ სადგური და უკანვე წამოვიყვანეთ ჩვენი მატარებელი. როდესაც სადგურს გამოვშორდით ლიანდაგის ორივე მხრივ აუარება თათართა ბრბო იდგა შეიარაღებული და თოფებ მომარჯვებულნი. დავტოვეთ სადგური თუ არა ერთმა მათგანმა, რომელიც ცხენზე იჯდა ანიშნა ბრბოს და ისინიც ელვის სისწრაფით შეესივნენ სადგურზე დარჩომილ ქონებას გასაზიდათ. თან მოეყვანათ ურმები და დროგები საქონლის წასაღებათ. ასეთ მდგომარეობაში დავტოვეთ სადგური ევლახი. ელისავეტპოლში ჩამოსვლისთანავე მოლაპარაკება გავმართეთ ადგილობრივ კომიტეტების წარმომადგენლებთან და ასეთი ზომები გამოვიმუშავეთ: მეორე დილითვე წასულიყო ელისავეტპოლიდან პარავოზები და გამოეყვანათ ევლახიდგან ყველა ის ვაგონები, რომლებიც დამტვრეულია, მაგრამ დამწვარი არ არის, გამოეყვანათ ორი პარავოზი, რომელიც დეპოში დგას რემონტისათვის. ევლახი გამოსტოვონ და ელისავეტპოლი შეაერთონ ტელეგრაფით ლიაკის სადგურთან. ყველა ამ მუშაობის სისრულეში მოსაყვანათ თავდაცვის უზრუნველსაყოფათ ჩვენ მოველაპარაკეთ განჯაში მდგომ ჯავშნიან მატარებლის უფროსს პორუჩიკ ივანოვს, რომელიც უნდა გაყოლოდა ჯავშნიანი მატარებლით მოსამსახურეებს ამ გეგმის განსახორციელებლათ. ელისავეტპოლში ჩვენ დეპეშა მივიღეთ ამხ. აკაკი ჩხენკელისაგან, რომელიც გვავალებდა საჩქაროთ მიგვეღო ზომები და გაგვემართა მოლაპარაკება სადგურების ახლო-მახლო სოფლებთან მილიციის შედგენის შესახებ სადგურების დასაცავათ. 29-ს დილიდანვე ჩვენ ელისავეტპოლიდან გამოვემგზავრეთ აქსტაფისაკენ და შეუდექით მოლაპარაკებას. კარაიაზიდან ელისავეტპოლამდე დანგრეული არის მხოლოდ ერთი სადგური ალაბაშლა, დანარჩენი უვნებელია. თითქმის ყველა სადგურებზე ადგილობრივ მცხოვრებთ შეუდგენია მილიცია თათრებისაგან და ისინი იცავენ სადგურებს. უბედურება ის არის, რომ გამვლელი ეშელონები ჯარისკაცებისა პირდაპირ ნადირობენ თათრებზე. შეამჩნევენ თუ არა ლიანდაგის მახლობლათ თათარს, მაშინვე ესვრიან და კლავენ. თათრები ამბობენ თუ ჯარისკაცები ხელს არ გვახლებენ, ჩვენ ვკისრულობთ სადგურის დაცვასო. მილიციის შედგენა დ მოწყობა დაევალა მამედ კამბარ-ოღლის და ალიევს. ჩვენ ყველა სადგურებზე გვხვდებოდა სოფლელ თათრებთა ყრილობა წინდაწინვე მიღებული ცნობით და ჩვენც უხსნიდით მათ საერთო მდგომარეობას, ვადგენდით სიას მილიციონერებისას და ვინც უკვე შეიარაღებული იყო ვანაწილებდით სადგურებზე. მოსამსახურეები ნდობით ეპყრობიან თათართა მილიციას. ჩვენ სიტყვა მოგვცა თათრებმა, რომ ფიცს სდებენ სადგურებს დაიცავენ, მხოლოდ ითხოვენ შეიარაღებას. საქმე იმაში არის, რომ ახლო-მახლო სოფლებიდან მშრომელი მასსა მოწადინებულია სადგურების დაცვას, მაგრამ, როგორც ვიცით, თათრებში ბევრია ყაჩაღები, რომლებიც მარტოთ მარტო ცარცვა-გლეჯით არსებობენ და აი ისინიც ეცემიან სადგურებს და სცარცვავენ. სადგურ საანლუგს დაეცნენ მცარცველები 28-ს, მაგრამ იქვე მდგომმა ქართველ ჯარისკაცებმა აუტეხეს სროლა და გააქციეს. სადგურ სოუტ ბულახს 29-ს დილით შემოეხვივნენ მცარცველები. სადგურზე იდგა ნაწილი ქართველ ჯარისკაცებისა და თათრების მილიციონერები. ასტყდა სროლა, რომელმაც მთელი საათი გასტანა. ჯარისკაცებმა შერეკეს ტყეში მცარცველები და უკან დაახევინეს. არიან დაჭრილნი და მოკლულნი მცარცველთა მხრივ. ქართული პოლკის ჯარისკაცებმა მიატოვებინეს მცარცველებს 12 კამეჩი და ურმები, რომლებიც ალბათ მოეყვანათ ნაცარცვის წასაღებათ. ქართველი ჯარისკაცები ჩვენთან ერთათ წამოვიდნენ თფილისისაკენ, ჩვენ კი იქ დავტოვეთ თათარ მილიციონერთა გუნდი სხვა სადგურებიდან ჩამოყვანილი.

**ვიქტორ ნინიძე.**

## რუსეთის ამბები

**პუტილოვის ქარხანა** საბოლოოთ შეჩერდა. მიზეზათ ასახელებენ ნახშირის უქონლობას. ქარხანაში გაბატონებული ბალშევიკები ირწმუნებიან, რომ ქარხნის შეჩერება დროებითია, ქვა-ნახშირს აუცილებლათ აღმოვაჩენთ სადმეო. ლენინს ეახლა პუტილოვის ქარხნის მუშების დელეგაცია და მოლაპარაკება ჰქონდა დღემდე წარდგენილ მოთხოვნათა შესახებ. ლენინმა მათ განუცხადა, რომ სამწუხაროთ ამ ჟამად არაფრის გაკეთება არ შეიძლება, მდგომარეობა მეტათ სამძიმოა და თქვენც უნდა შეხვიდეთ მუშათა მთავრობის გასაჭირშიო, არ უნდა შექმნათ ისეთი მდგომარეობა, რომ გამოსავალის ნახვა არ შეიძლებოდესო. ამაზე დელეგაციამ უპასუხა, რომ ასეთი პასუხით ჩვენ ქარხანაში დაბრუნებას ვერ გავბედავთო. მაშინ ლენინმა უპასუხა მათ: პუტილოვის ქარხნის მუშების მხრით საქმისადმი უფრო შეგნებულ დამოკიდებულებას მოველოდიო.

**უკრაინელთა რევოლიუციონური** შტაბი პეტროგრადში წითელ გვარდიელებმა დაარბიეს. გატაცებულია მრავალი ძვირფასი ნივთები, აოხრებულია სამკითხველო—წიგნებით რამდენიმე დღის განმავლობაში ოთახებს ათბობდენ. ფულები სრულიათ წაუღიათ. უკრაინის საქმეთა კომისარიატის გამგე მოგილიანსკი აღშფოთებულია წითელ გვარდიელების მოქმედებით. წითელი გვარდიელები ზოგიერთ უკრაინელ ცნობილ მოღვაწეთა ბინებსაც კი დასხმიან თავს. მიუხედავათ ამისა უკრაინის რევოლიუციონური შტაბი მუშაობას ფარულათ განაგრძობს. მოსკოვის და ფინლიანდიის პოლკებმა უკრაინელების წინააღმდეგ წასვლაზე უარი განაცხადეს.

**პეტროგრადის გარნიზონის** ბევრ ნაწილებში მოხდა მრავალრიცხოვანი კრებები. ჯარისკაცები მოითხოვდენ დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივ გახსნას. გარნიზონსა და წითელ გვარდიელებს შორის მდგომარეობა მწვავდება. ვოლინელებმა პროკლამაციაც გამოსცეს წითელ გვარდიელების წინააღმდეგ. იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა ვოლინის პოლკის ჯარისკაცები ქუჩაში ბალშევიკების „პრავდას“ ხევდენ. ზოგიერთ წითელ გვარდიელებს იარაღიც კი აჰყარეს ვოლინელებმა. არც პრეობრაჟენის პოლკთან აქვთ ბალშევიკებს კარგი დამოკიდებულება. მას შემდეგ, რაც სამხედრო კომისარ პოდვოისკის თაურიდის სასახლეში უთანხმოება მოუვიდა ამ პოლკის სადარაჯო რაზმთან, ჯარისკაცებმა კრებაზე განაჩენი გამოიტანეს, სადაც ნათქვამია: კომისარს არ სცოდნია სამხედრო წესდებაო. პრეობრაჟენის პოლკთან ერთად არც ვოლინელები უჭერდენ მხარს ბალშევიკებს დამფუძნებელ კრების წინააღმდეგ. ესტონელ ჯარის კაცებშიაც უკმაყოფილებაა ბალშევიკების წინააღმდეგ როგორც დამფუძნებელი კრების, ისე უკრაინის საკითხებში.

**პეტროგრადის კერძო ბანკები** ბალშევიკებმა ხელში ჩაიგდეს. ზოგიერთი ცნობილი ფინანსისტები დააპატიმრეს. როგორც ამბობენ, ბალშევიკურ მთავრობას აზრათ აქვს ბანკების ნაციონალიზაცია—ყველა ბანკების მოქმედება გაერთიანებული იქნება სახელმწიფო ბანკის საშუალებითო. ამის გამო კერძო ბანკები დაკეტილია. შესასვლელ კარებთან ჯარისკაცები დარაჯობენ. ბანკების ახლო ხალხი კვლავ იყრის თავს. მოსამსახურეებს ბანკებში არ უშვებენ. ბანკების კასები ჯერ-ჯერობით ხელ უხლებელია. მოსამსახურეთა გაფიცვა გრძელდება. 16 დეკემბერს ბანკებიდან ფულებს იძლეოდენ მხოლოდ ფაბრიკა-ქარხნების საჭიროებისათვის.

**შემნახველ კასების და წვრილი კრედიტის** მოსამსახურეთა კრებაზე გამოირკვა, რომ ბევრი დაპატიმრებული მოსამსახურენი კვლავ საპყრობილეებში იმყოფებიან. ამის გამო შემნახველ კასებში მოსამსახურეთა ნაკლებობაა. მუშაობენ მორიგეობით, გადადიან ერთი განყოფილებიდან მეორეში სამუშაოთ და სხვ. კრებაზე გადაწყდა დამფუძნებელი კრების გახსნამდე სრულიად აღკვეთონ მუშაობა.

**გ. ვ. პლეხანოვი** ჯერ კიდევ ფრანგთა ახალშენის საავათმყოფოში იმყოფება. გაზეთების სიტყვით ავათმყოფი სისუსტესა გრძნობს, თუმცა წინანდელთან შედარებით უკეთ არისო.

**პეტროგრადის დაცვის** საგანგებო კომისარი საყოველთაოთ აცხადებს: როგორც შეკრებილი ცნობებიდან სჩანს, ამ დღეებში რაღაც გამოსვლებს თუ დემონსტრაციებს ამზადებენო. დეე, ყველამ იცოდეს, რომ ყოველგვარი გამოსვლა შეიარაღებული ძალით იქნება ჩაქრობილიო.

## მუშათა წერილები

### კავკასიის მუშათა საბჭოების ყრილობა და ბალშევიკები.

რუსეთის რევოლიუცია უკვე დაზიანდა. თავდადებული მუშათა კლასის გაერთიანებული მოძრაობა თავისუფლების გასამტკიცებლათ გაორდა და თითქმის დადუმდა ბალშევიკების მიერ შექმნილი კატასტროფის გამო, რომელიც დღეს სუფევს რუსეთში. ბალშევიკების ავანტიურისტული გამოსვლით, მძლავრი ლახვარი ჩასცეს რევოლიუციას გულში. და ასეთ დროს, როდესაც რევოლიუცია განიცდის ტრაღიკულ მომენტს, როდესაც ანარქიაა გამეფებული, სამოქალაქო ომია გაჩაღებული რუსეთის რევოლიუციის გულში, და „ძაღლი პატრონს ვეღარ ცნობს“, ამ სერიოზულ მომენტის პასუხის გასაცემათ, დემოკრატიის ფრონტის გასამაგრებლათ მოწვეული იქნა 19 დეკემბერს კავკასიის მუშათა საბჭოების ყრილობა, მაგრამ რას ვხედავთ ყრილობაზე?

ნაცვლათ იმისა, რომ ერთი დემოკრატიული ფრონტი ყოფილიყო გამტკიცებული, ყოველივე მოსალოდნელ ანარქიას, ექსცესებს და კონტრ-რევოლიუციას შებრძოლებოდენ შეერთებული ძალით, სამოქალაქო ომის გაჩაღებისთვის სასტიკი წინააღმდეგობა გაეწიათ მუშათა კლასის საბედნიეროთ, ბალშევიკებმა როგორც მოსალოდნელი იყო, წინააღმდეგი მოიმოქმედეს, რითაც პირდაპირი დანაშაულობა ჩაიდინეს კავკასიის დემოკრატიის წინაშე. ბალშევიკები რის ანარქისტები და დეზორგანიზატორებია, თუ თანახმად თავიანთი ანარქისტული მეთოდისა არ მოიქცენ, და აი, სწორეთ თანახმად მუშათა კლასის ინტერესების უარყოფისა, მუშათა კლასს უღალატეს, ფეხ-ქვეშ გასთელეს მათ მიერ უკვე გაუპატიურებული და შელახული თავისუფლება. მათ მუშათა საბჭოს ყრილობა გახსნის დღიდანვე დასტოვეს, მიუხედავათ იმისა, რომ მათ არავითარი უფლება არ ქონდათ მიცემული იმ საბჭოებიდან, საიდანაც ბალშევიკები იყვენ წარმოდგენილი, ყრილობა დაეტოვებიათ. მაგრამ ბალშევიკები რის ავანტიურისტებია, თუ აქაც ავანტიურას არ ჩაიდენენ, და ჩაიდინეს კიდეც. ყრილობა დასტოვეს დაუკითხავად თავიანთ საბჭოებისა.

რისთვის, რათა, რა მიზეზებისათვის? იკითხავს მკითხველი. იმისათვის, რომ მუშათა საბჭოების ყრილობა არ იყო მომხრე სამოქალაქო ომის, ანარქიის, დეზორგანიზაციის და ლახვრის ჩამცემი რევოლიუციის, თავისუფლების. იმისათვის, რომ ყრილობის შემადგენლობა არ იყო ანარქისტულ-ბალშევიკურ-„პაგრომშჩიკული“. იმისათვის, რომ ყრილობა არ გამოხატავდა ავანტიურისტ ბალშევიკური ფრაქციის მიზნების განსახორციელებელ შემადგენლობას, არამედ წინააღმდეგ ბალშევიკებისა იცავდა ერთ მთლიან დემოკრატიულ ფრონტს. აი ამ მიზეზისათვის წავიდენ მოღალატე ბალშევიკები ყრილობიდან და შეეცადენ ყრილობის ჩაშლას, მუშათა კლასის გათიშვას და ამისთვის ცალკე მოახდინეს კრება; მაგრამ ერთი მუჭა ბალშევიკებს უნაყოფოთ ჩაუარა ცდამ, ყრილობის მიერ დაგმობილი და გაკიცხული იქნენ ბალშევიკი დელეგატები. ამ ერთი თვის წინათ სიტყვიერათ თუ წერით ქუჩაში თუ ქარხანაში გაჰკიოდენ და მოითხოვდენ ბალშევიკები თფილისში მუშათა დეპუტატების ხელმეორეთ არჩევას და მასთან კავკასიის მუშათა საბჭოების დეპუტატთა ყრილობას. მოთხოვნილება დაკმაყოფილებული იქნა. მოხდა არჩევნები და საუბედუროთ ბალშევიკებისა, თფილისის მუშათა საბჭოს არჩევნებში სასტიკათ დამარცხდენ, თფილისის მუშათა კლასმა ამით სასტიკი პასუხი გასცა რევოლიუციის დამღუპველ დემაგოგებს. ერთად ერთი იმედი ქონდათ დარჩენილი კავკასიის მუშათა საბ. დეპუტატთა ყრილობისა, მაგრამ აქაც მოსტყუვდენ ანგარიშში,—კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, ვერც აქ გახდენ ყრილობის ბატონ პატრონი, და რადგანაც ყრილობის შემადგენლობა მათ „ჭანგზე“ სათამაშოთ არ იყო მოწყობილი, ისინიც მუშათა კლასს გამოეთიშენ და ყრილობა დასტოვეს.

ბაქოს მუშათა საბჭოს დელეგატები, რომლებიც ჩამოვიდენ ყრილობაზე, ორმოცი კაცი. მათ შორის ათი ბალშევიკი, ითხოვდენ თანახმად ბაქოს საბჭოს დადგენილებისა თითო დელეგატზე ოთხ ხმას, ასეთი ანტი-დემოკრატიული მოთხოვნილება, რა თქმა უნდა, ყრილობამ არ დააკმაყოფილა, რადგანაც ასეთი განაწილება ხმის და პრივილეგიების შექმნა დემოკრატიული პრინციპების ღალატი იქნებოდა. აბა, სად გაგონილა ერთი კაცი—ოთხი ხმა დემოკრატიაში?

ბაქოელ ბალშევიკების წახედვით ზოგიერთ ჩრდილოეთ კავკასიის ბალშევიკების დელეგატებმაც მოითხოვეს, რომ იმათთვისაც მიეცათ თითო დელეგატზე ოთხი და ხუთი ხმა. ყრილობამ ესეც უარყო.

ცხადი იყო, რომ ბალშევიკებმა ასეთი ულტიმატუმი წამოაყენეს იმისათვის, რომ მათი მიზანი იყო არა ყრილობაზე მუშაობა, არამედ დემოკრატიის გათიშვა, „რასკოლის“ ჩამოგდება და თავიანთი მხრით განხეთქილება მუშათა ფრონტში შემოიტანეს კიდეც. ბალშევიკებმა ცალკე გამართეს სხდომა, მაგრამ რადგანაც მათ უფლება არ ქონდათ იმ ადგილების საბჭოებიდან, საიდანაც ისინი იყვნენ გამოგზავნილი სხვა ყრილობის შესადგენათ, იძულებული იყვენ კუდამოძუებული წასულიყვენ თავიან ამრჩევლებთან. ყრილობის უკანასკნელ დღეს ბალშევიკ დელეგატმა წაიკითხა რეზოლიუცია თავიანთ ფრაქციულ სხდომაზე გამომუშავებული, რომელშიაც ყრილობას უსაყვედურებდენ, რათ არ მოგვეცი ოთხი ხმაო და სხვა. რეზოლიუცია იყო წარმოდგენილი სხვადასხვა, ჩრდილო კავკასიის საბჭოების დელეგატების სახელით, მხოლოდ ზოგიერთი დელეგატების სახელი არ იყო მოწერილი რეზოლიუციაზე. ბალშევიკი დელეგატის თან დასწრებით გამოირკვა, რომ მათ სიყალბე ჩაუდენიათ, სხვისი სახელით რეზოლიუცია გამოუტანიათ და ზოგი იმ დელეგატების სახელითაც, რომლებიც უკვე ყრილობაში მონაწილეობას იღებდენ და საერთო ბალშევიკებთან არაფერი ქონიათ,

ბალშევიკებმა არ იკმარეს მარტო დემოკრატიისაგან გამოთიშვა და ჩვეულებისამებრ ავანტიურასთან ერთათ „პადლოგიც“ ჩაიდინეს. მათი სიყალბეც ყრილობამ შესაფერათ დაგმო და პროტესტიც დაიმსახურეს იმ დელეგატებიდანაც, რომლის სახელით ისინი უსირცხვილოთ სარგებლობდენ.

„კავკ. რაბოჩი“ კი მათ რეზოლიუციას ბეჭდავს, თითქოს 200,000 მუშას განეცხადებინოს პროტესტი. აბა, „პადლოგი“ ნახა და როგორ არ ჩაებღაუჭებოდა! მუშებმა უნდა დაიხსომონ იმათი სამარცხვინო საქციელი.

**აკ. პლიბეიშვილი.**

## პროვინციის აგენტების საყურადღებოთ

**პირველ იანვრიდან ცალკე ნომერი ეღირება ყოველგან 20 კაპ. პროვინციის აგენტებს დაეთმობათ 16 კაპეიკათ, დარჩენილი გაზეთები უკან მიიღება არა უმეტეს ხუთი პროცენტის (5%).**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მიეშველეთ რკინის გზას!

ის, რაც სამგზავრო მატარებლებში ხდება, წარმოუდგენელი და არა ჩვეულებრივია ჩვენ დროშიაც კი.

რკინის გზა თავის საკუთრებათ გამოუცხადებია სპეკულიანტ ჯარისკაცებს და ჯარისკაცების „მუნდირში“ გახვეულ არამზადებს. ეს ვაჟბატონები აღარ დასჯერდენ იმას, რომ მეორე და პირველი კლასით დადიან აქეთ-იქით მუდამ დღე; აღარ დასჯერდენ იმას, რომ გაანადგურეს მოწყობილება და ტილოს ზეწრები ფეხებზე დაიხვიეს; დაუწყეს ყოველნაირ საქონელს ამ კლასებით გადაზიდ-გადმოზიდვა და ასე რკინის გზას აოხრებენ.

ჯარისკაცი ხარ, მაშასადამე, ყველაფრის ნება გაქვს, აი რა გაუთქვიფეს თავში ამ ვაჟბატონებმა რკინის გზის მოსამსახურეთ და ეს უკანასკნელნიც, ეთანხმებიან რა ამ დებულებას, აღარც კი კითხულობენ მათგან არაფერს. „შინელი“ აცვია, მორჩა და გათავდა!

ამან შექმნა მოთხოვნილება „შინელზე“ და საზოგადოთ ჯარისკაცის ტანისამოსზე და ის ისე გაძვირდა, რომ ყველა გაიძვერა ერთბაშათ ველარ ახერხებს მის ყიდვას. სამაგიეროთ, შემოიღეს მისი ქირაობა: თფილისიდან კახეთში ჯარისკაცის ტანისამოსი ღირს 5—10 მანეთი ერთი გზობაზე, ხოლო თფილისიდან იმერეთში ერთი ორათ მეტი. მე ვერ გავიგე რა ღირს ბაქოდან ჩრდილო კავკასიაში, თუმცა დაბეჯითებით ლაპარაკობდენ ხსენებულ სადგურზე, რომ მისი გაქირავება ბაქოში მასსიურიაო, და „იარმარკები“ მხოლოდ რუხ ტანისამოსიან სპეკულიანტების საჯირითო მოედნათაა ქცეული.

„მადა ჭამაში მოდისო“ და რუხ ტანისამოსიან სპეკულიანტების გაუმაძღრობაც თანდათან იზრდება. მათ უკვე შეისწავლეს ბაზრები თუ სად რა საქონელი არაა და სად კი შეიძლება ამ საქონლის შოვნა. და აი, მიდი-მოდიან არხეინათ, მოედებიან იმერეთის სოფლებს, იყიდიან იქ სანოვაგეს და მიაშურებენ მატარებელს. ავსებენ ვაგონებს, თუ საჭირო დარჩა, გადმოყრიან კიდეც ბილეთიან მგზავრებს და მიდიან თფილისში. აქ სანოვაგეს წარმოუდგენელ ფასებში ყიდიან და სამაგიეროთ ყიდულობენ ფართალს, ნავთს და სხვ. ყოფილა მაგალითი, რომ

## სიზმარი
(საახალწლო)

ჩემს სამუშაო ოთახში ვზივარ, ბუხართან.

თანახმათ ჩემგანვე დადებულ წესისა ახალ წელიწადს მარტოთ-მარტო უნდა შევხვდე, რათა კეთილ-სინდისიერათ ჩავაბარო გავლილი წლის სრული ანგარიში.

სიჩუმეა.

ამ მყუდრო სიჩუმეს სულაც არ არღვევს დაფერფლილ ნაკვერჩხლებში ობლათ დარჩენილის, ჯერ დაუმწვარი შეშის ნაპობის ხმა-შეწყობილი ორხმოვანი მინაზებული წივილი.

თითოეულ ხმას, ცალ-ცალკე, თავის საკუთარი კილო გამოჰყავს, მაგრამ ორივე, ერთათ, სრულიად შეთანხმებულათ მღერის.

— კონტრაპუნქტი!..—ვფიქრობ მე და მაგონდება ჩვენი კომპოზიტორის, ქ. ფოცხვერაშვილის „სიტყვა-მუსიკობა“.

უცებ სადღაც ახლო თოფის ხმა ისმის. მეორე, მესამე და შემდეგ რამდენიმე ზედიზედ, გაბმით.

თავდაპირველათ შიში ამიტანს, მაგრამ იმავ წუთს ვმშვიდდები.

— ეს ხომ ჩვენები არიან—ვამბობ გუნებაში: მეხუთე პოლკის ჯარისკაცები სროლას ვარჯიშობენ ქუჩაში... საბრალოები! ახალ წელიწად ღამითაც არა აქვთ მოსვენება!

სროლის ხმაც თანდათან ეგუება ჩემი ოთახის მყუდროებას, ბოლოს ისე ვეჩვევი მას, რომ ველარც კი ვამჩნევ და კვლავ წრიპინა მუგუზალის „კონტრაპუქტს“ ვუბრუნდები.

— ნუ თუ მეძინება? არა, ჯერ არ უნდა დავიძინო, ჯერ კიდევ ნახევარი საათია ახალი წლის მოსვლამდე.

— არ დაიძინო, გენაცვალოს შენი ბებია, არ დაიძინო: თვალის ქუთუთოებზე იჩქმიტე და გამოფხიზლდები. არ დაიძინო, ჩემო სიცოცხლე... აი, სულ ახლოა ახალი წელიწადი, სახლის სახურავზეა კიდეც. იჩქმიტე და გამოფხიზლდები.

როგორ მკაფიოთ მესმის ბებია-ჩემის ეს 25 წლის სიტყვები, ბავშვობისას რომ მეტყოდა ხოლმე, როცა ძილი მომერეოდა საახალწლო ვახშმის მოლოდინში.

— წიიი-წი-წი, წიიი-წი-წი.

მისუსტებული ცალი ხმით წივის ახლა მუგუზალი.

— ქორმა წიწილა წაიღო, იძახდა წიავ-წიავსა, ქორმა წიწილა წაიღო, იძახდა წიავ-წიავსა,—ვიმეორებ რამდენჯერმე ერთსა და იმავე ლექსს და ვგრძნობ, რომ რაღაც უცნაური სურათები, სიტყვები და აზრის ნაფლეთები ერთმანერთს მისდევენ თავში, ჩემ დაუკითხავათ დათარეშობენ, თითქო ლოღი გაუმართავთო, და იძახიან: ბებია ჩემი, წიწილა, კონტრაპუნქტი, ქ. ფოცხვერაშვილი...

— უჩქმიტე, უჩქმიტე! ვუყვირი კონტრაპუნქტს, მაგრამ კონტრაპუნქტი, იმის მაგიერ, რომ ბებია ჩემს უჩქმიტოს წიწილას შეაჯდება ზურგზე და მე ნათლად ვხედავ, რომ მუგუზლის ნაცვლად ქ. ფოცხვერაშვილი წრიპინებს და ჯარისკაცს მისდევს მოსაკლავად.

— ნუ თუ დამეძინა?—გამიელვებს უცებ თავში: არა, ჯერ არა, ჯერ ხომ უნდა ვიჩქმიტო, თორემ მუგუზალი ზარბაზანს ისვრის და ახალ წელიწადს მოხვდება თვალის ქუთუთოში...

უეცრივ ყველაფერი გაჰქრა, ჩემი ოთახის კარი ოდნავ გაიღო უხმოთ და თავი შემოჰყო ვიღაც უცნობმა, საშინლად გაფითრებულმა და თმა-აბურძგნულმა ახალგაზრდა კაცმა.

— ვინა ხარ?.. რა გნებავს?.. რა ამბავია?.. შევყვირე მე და ზეზე წამოვვარდი.

— სსსს! ჩუმათ!—ჩურჩულით მითხრა უცნობმა და ტუჩებზე ხელი მიიფარა.

— რა ამბავია?—ჩურჩულითვე გავუმეორე მე და მივაშტერდი მის აკანკალებულ ნიკაპს.

— გამოვიდნენ! გამოვიდნენ, ამხანაგო თავუნა!

— ვინ გამოვიდა? საიდან გამოვიდნენ? ვკითხე მე და ერთ ნაბიჯზე დავიხიე, ისე საშიშარი იყო მისა თავზარდაცემული სახე.

— ბალშევიკები გამოვიდენ... მთელი ქალაქი ხელში ჩაიგდეს... ყველგან ჩხრეკაა... ხალხს ატუსაღებენ... გასაფრთხილებლათ მოვედი...—სხაპა-სხუპით მომაყარა უცნობმა ისეთივე ჩურჩულით: შენთანაც მოვლენ... გაგჩხრეკენ... თავს უშველე, გადამალე, დასწვი, თუ რამე გაქვს!..

მუხლები ჩამეკეცა და ჩავჯექი.

კარებისკენ რომ გავიხედე, ის უცნობი აღარ იყო, წასულიყო. რის ვაი-ვაგლახით მოვიკრიბე გონება და საწოლ ოთახში შევედი.

— ბაბო, ბაბო, გაიღვიძე, ჩქარა!

— რა იყო, რა დაგემართა?—წამოვარდა ჩემი ცოლი ლოგინიდან და შეშინებული თვალებით ჩამაჩერდა.

— ბალშევიკები გამოსულან... საცაა ჩვეთანაც მოვლენ... უნდა გაგვჩხრიკონ... ადექი ჩქარა, მიშველე!

რამდენიმე წუთში მთელი ჩემი ჯალაბობა ფეხზე დადგა და ჩემს ოთახში გაფაციცებული მუშაობა გაჩაღდა.

მე და ჩემი ცოლი ხელნაწერებს ვეცით. ნატო, ჩემი ქალი, 16 წლისა და 14 წლის ვაჟი საწიგნე თაროვებს მივუჯენით. უმცროსი ვაჟი ბუხართან და დგადა ხელნაწერების წვას შეუდგა.

— ილია ჭავჭავაძე?—მკითხავდა ნატო.

— დასწვით!

— პლეხანოვი?—იძახდა ჩემი ვაჟი.

— დასწვით!

— აკაკი წერეთელი?

— დასწვით!

— შოთა რუსთაველი?

აქ ცოტა არიყოს, შევყოყმანდი, მაგრამ როცა მოვიგონე შოთას „არ შეშვენის ვერსა რქანი, ყვავსა ვარდი“, „რა ყვავმა ვარდი იშოვოს, თავი ბულბული ჰგონია“ „ღვევენი საქმეს წაახდენს, ფათერაკს დააბრალებსო“ და სხვა ასეთ ადგილები, სამართლიანათ ვიფიქრე, რომ ასეთ ადგილებს ბალშევიკები თავიანთ თავზე მიიღებენ და საკითხი გადაიჭრა.

— დასწვით!—ვბრძანე მე.

წიგნებსა და ხელნაწერებს რომ მოვრჩით, სამუშაო მაგიდას გადავავლე თვალი. ყველაფერი რიგზე იყო, მხოლოდ როდენის ქანდაკება, „აზრი“, არ მეჰაშნიკა.

— წაიღე და დაამსხვრიე!—ვუთხარი ჩემს პატარა ვაჟს, რომელმაც დიდის აღტაცებით გააქანა ჩემი მაგიდის ერთად-ერთი სამკაული ოთახიდან.

სწორეთ იმ წუთში, ქანდაკების მსხვრევა რომ მოისმა, იმავ ადგილას, სადაც „აზრი“ მედგა, მიწიწებით დავდგი ძველი მაღალ ყელიანი ჩექმა.

— ეს რაღა საჭიროა?—მკითხა ცოლმა.

— განა არ იცი, რომ რევოლიუციური ჯარისკაცის ჩექმა ათას წილ უფრო ძვირფასი და პატივსაცემია, ვინემ ბურჟუაზიული „აზრი“!—მოვუჭერი მე...

— მადლობა ღმერთს, მგონი მოვრჩი,—წარმოვსთქვი მე, მაგრამ უცებ კედელს მოვავლე თვალი და ელდა მეცა:

მთელი კედელი კონტრ-რევოლიუციონერების სურათებით იყო დაფარული: ნოე ჟორდანია, კარლო ჩხეიძე, კაკი წერეთელი...

— ჩამოიღეთ კარლო! ვუბრძანე მე და იმ ადგილას საცა კარლოს სურათი ეკიდა, მივაკარი თედორე კალანდაძე, რომლის სურათი შემთხვევით ძველ ფოტოგრაფიებში აღმომიჩნდა.

— ნოეს მაგიერ ვინ ჩამოვკიდოთ? დავფიქრდი მე: ნუ თუ აღარც ერთი ბალშევიკის სურათი აღარა გვაქვს?

— მამა! გაუბედავათ წარმოსთქვა ჩემმა უფროსმა ქალმა და თვალები ძირს დაუშვა.

— რა იყო, ნატო? რას მეტყვი?

— მეე... მე მაქვს... სურ... სურათი,—წაილუღლუღა მან და ყაყაჩოსავით გაწითლდა.

— ვისი? ბალშევიკის?

— ჰო, სე... სერგო ქავთარაძის.

— მოიტა, მოიტა ჩქარა!

ნატომ აკანკალებული ხელით გადმომცა ს. ქავთარაძის სურათი და თავი ჩაღუნა.

სურათის უკანა გვერდზე ეწერა: **Милой контр-революціонеркѣ отъ скромнаго дѣятеля рабоче-крестьянской революціи.**

— დახე, აკი მოუნახავთ საერთო ენა ამ ორი სხვადასხვა ბანაკის წარმომადგენლებს,—გამიელვა თავში.

ნოე ჟორდანიას სურათი ჩამოვხსენი და მის მაგიერ ს. ქავთარაძის მივაჭედე.

ჩემ ქალს ლოყებზე სიამოვნების ალმური აუვიდა, უმცროსი ვაჟის სიხარულს ხომ საზღვარი აღარ ჰქონდა.

— რა კარგია, რა კარგი!—იძახოდა ის: ეგრე არა სჯობია, მამილო?

— შენთვის და ნატოსათვის ოღონდაც რომ ასე სჯობია, შვილო, მაგრამ ერთი სრულწლოვანების გულშიც ჩაიხედე და!..

ჯერი მარქსის სურათზე მიდგა: ვერ გადამეწყვიტა, გაწყრებოდენ თუ არა ბალშევიკები მარქსის სურათისათვის? სიფრთხილეს თავი არ ასტკივა. მარქსი, რაც უნდა იყოს საეჭვოა. მოდი ნაღდი ვინმე ჩამოვკიდო მეთქი, გავიფიქრე მე და საეჭვო მარქსის მაგიერ ნაღდი ნესტორ ცერცვაძის სურათი დავკიდე, „ეშმაკის მათრახიდან“ ამოჭრილი.

— მამი, ესეც მარქსსა ჰგავს, განა?—ჩამერია ჩემი უმცროსი ვაჟი.

— ჰო, შვილო, მაგათი მარქსი ეს არის, დავამშვიდე პატარა.

ეხლა კი ყველაფერი რიგზე იყო.

— აბა, გასწით აქედან!—მე მინდა მარტო დავხვდე ჩემს ახალ თანამოაზრეებს!

მარტო რომ დავრჩი კალამი ავიღე ხელში და წერას შევუდექი:

„ამხანაგებო, ვწერდი მე:—თუ ვინიცობაა აქ დავმარცხდეთ და რუსეთი აღარ გამოდგეს იმ გრდემლათ, საიდანაც ჩვენი რევოლიუციური კვერის ცემა სოციალისტურ მოძღვრების ნაპერწკლებს გადაისვრის ევროპის შეუგნებელ მუშების გულში, ჩვენ მაინც არ გვმართებს სასოწარკვეთა! მაშინ ჩვენი სოციალისტური ქურა და სამჭედური უფრო საიმედო და ნამდვილს რევოლიუციონურ ქვეყანასა და ხალხში უნდა გადავიტანოთ.

ეს ქვეყანაა „კეთილ იმედის“ კონცხი აფრიკაში და ეს ხალხია უაღრესათ რევოლიუციური ჰოტენტოტები და ბუშმენები, ხალხი სავსებით გამზადებული სოციალიზმის ბარძიმიდან ზიარებისათვის! მაშ წინ, ამხანაგებო, ბუშმენებისაკენ! აი ჩვენი აღთქმის ქვეყანა, საიდანაც სოციალიზმის კოცონი მოედება დამპალ ევროპას! გაუმარჯოს სოციალიზმს! გაუმარჯოს ჰოტენტოტებსა და ბუშმენ“...

კარებში საშინელი ბრახუნი მოისმა.

— აი, მოდიან!

გულმა ცემას გაუხშირა.

ბრახუნი მატულობს.

— ვხლავე!—ვყვირი მე და მინდა ავდგე, მაგრამ ვერ ვინძრევი.

— გააღე, კაცო! რას ჩაკეტილხარ?

— ბიჭოს, ეს რა ამბავია? თითქოს ჩემი ცოლის ხმა არის?

— კაცო, არ გეყურება? რა დაგემართა რომ ხმას არ იღებ?—იძახის იგივე ხმა და უფრო ძლიერათ უბრახუნებს კარებს...

მე თვალს ვახელ და ვხედავ რომ ბუხრის პირას ვზივარ, მაგრამ გონს მაინც ვერ მოვსულვარ...

კარი რომ გავაღე და ჩემი ცოლის მილოცვა გავიგონე, მხოლოდ მას უკან გამოვერკვიე და ოთახს მიმოვავლე თვალი: ყველაფერი ჩვეულებრივ წესზე იყო: საწიგნე თაროებიც, სამუშაო მაგიდაც და კედლის სურათებიც.

მუგუზალი ნახევრად დაფერფლილიყო და აღარ წიოდა. ქალაქიდან უფრო გახშირებული სროლა ისმოდა.

**თავუნა.**

რუხ ტანისამოსიანებს იმერეთის სოფლებში გირვანქა ნავთი 8—9 აბაზათ გაუყიდნიათ; ბაქოში კალოშებს ჰყიდიან 70 მანათად; თფილისში დედალს ყიდიან 20—25 მანათად. ბაქოში ბევრს ცოლშვილიც ჩამოუყვანია და საერთო ძალით ეწევა სპეკულიაციას. ეს ქალები ხსენებულ სადგურის უკან ასობით ჩამწკრივებულან და გირვანქა პურს 1 მ. 50 კაპ. ყიდიან, ფუთ ფქვილს 60—70 მანეთად. და არის სამგზავრო მატარებელი ავსებული ამ სპეკულიანტთა საქონლით. გადააქვთ ის უფულოთ იმიტომ, რომ „შინელი“ აცვიათ.

დღეს ამათ მიემატა მეორე ჯურის ხალხი, რომელიც ისევე უფლებას აცხადებენ უფულოთ მგზავრობაზე და უფულოთ ბარგის ზიდვაზე. ესენი გახლავან რკინის გზის მოსამსახურენი, განსაკუთრებით ბაქოსა და თფილისის რაიონის.

ოღონდ მაგალითი იყოს, მიმბაძველი კი გაუჩნდება...

პირველათ რკინისგზელებში ჯარისკაცთა მიმბაძველები მხოლოდ თავის ოჯახის სანოვაგით უზრუნველყოფას ესწრაფოდენ. მარა ჩქარა მათშიც თავი იჩინა სპეკულიაციამ და დღეს თფილისში და ბაქოში რუხ ტანისამოსიანებთან ერთად ბევრი დგას კანტებიანი, „სალდატკებთან“ რკინის გზელების ცოლებიც და უფასოთ მოზიდულს ზღაპრულ ფასათ ასაღებენ.

ყველა ეს ქმნის მატარებელში წარმოუდგენელ მდგომარეობას. მეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ახლა სადმე წასვლა პირდაპირ გმირობაა, მაგრამ საფრთხეშია თვით რკინის გზა. ეს გარემოება აჩქარებს მის სრულიად მოსპობას. ამასგარდა კითხვა იბადება: რით უნდა შეინახოს მთავრობამ ეს რკინის გზა, საიდან უნდა გადიხადოს მისი შესანახი მილიონები? გარდა იმისა, რომ რუხ ტანისამოსიანი და კანტებიანი სპეკულიანტები თვით დადიან თავის საქონლით უფასოთ, ქმნიან ისეთ მდგომარეობას, რომ იმ ორიოდე მგზავრებიდანაც, რომლებიც მათ ლანძღვა-გინებას და მუჯლუგუნებს მიეჩვიენ და მაინც ეეყუდებიან ხოლმე კარიდორებში, ბილეთს ველარ თხოულობენ კონდუქტორები და, ალბათ, ისინიც ნაკლებათ ყიდულობენ მას. მე არავითარი ცნობები არ მაქვს ხელთ, მაგრამ ზედმეტათ მიმაჩნია იმისი კითხვა, დაიკლო თუ არა შემოსავალმა: ეს თვალდათვალ ცხადია ყველასათვის, ვისაც უხდება მგზავრობა „ტავარიშჩებთან“ ერთად, როგორც მათ დღეს ეძახიან.

თუ ეს ასე გაგრძელდება, ჩქარა ჩვენ რკინის გზა აღარ გვექნება, ვინაიდან შინელები და კანტიანი ტანისამოსი ჯერ კიდევ ბევრი იშოვება, ხოლო მათი ცოლობის სახელწოდება კიდევ უფრო ადვილია.

საჭიროა ჩქარი და გაბედული ზომების მიღება სათანადო რევოლიუციონური ორგანიზაციების მხრივ და პირველათ ყოვლისა რკინის გზის ორგანიზაციების მიერ. საჭიროა საბჭოების ცენტრის მიერ განმარტება, რომ ჯარისკაცს ნება აქვს უფასოთ მგზავრობის ჯარიდან სახლში და სახლიდან ჯარში და არა სავაჭროთ; რომ მას უფლება აქვს უფასოთ თან ატაროს თავის ნივთები და არა გასაყიდი საქონელი. საჭიროა რკინის გზის კავშირმა მოუწოდოს თავის წევრთ წესიერებისაკენ. ამავე დროს მკაცრი ზომები უნდა იქნეს მიღებული გადაცმულების გამოსარკვევათ და მათ სასტიკათ დასასჯელათ. ამაში რკინის გზის სათანადო ორგანიზაციებს წელი უნდა გაუმაგრონ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებმა თავისი იდეიური და შეიარაღებული ძალებით.

ბევრის გაკეთება შეუძლია ამ საქმეში შეგნებულ ჯარის კაცებს. მათგან მოვითხოვთ აქტიურ მოქმედებას.

**ზ: დათიაშვილი.**

# ჯარისკაცთა წერილები

**მე-19 თურქესტანის მსროლელი პოლკი.** ტყუილად არ დაურქმევიათ სახელი ჩვენი პოლკისთვის „ბალშევიკური“ პოლკი. უკანასკნელი დამფუძნებელი კრების არჩევნებში მეხუთე სიამ მიიღო ჩვენს პოლკში 1900-ზე მეტი ხმა. თუმცა ჯარისკაცთა უმრავლესობა ემხრობოდა ს.-დ. მენშევიკთა და ს.-რ. პარტიებსა, როგორც ეს გამოირკვა წინასწარ არჩევნების დროს, მაგრამ ზოგიერთი ვაჟბატონების წყალობით დემაგოგიური აზრების ქადაგებით მასსაში: ს.-დ. მენშევიკები და ს.-რ—ბი აგრძელებენ ომსო და ბალშევიკები დღესვე ათავებენ და იძლევიან პურსო და სხვა ხრიკებით მოიპოვა მეხუთე სიამ ჩვენ პოლკში მეტი ხმა. პირველმა ნომერმა (მენშევ.) მიიღო 500 ხმა. მათ შორის ბევრია შეგნებული ს.-დ. პარტიის წევრნი და აგრეთვე თანამგრძნობი ამხანაგები. 23 ნოემბერს ვიქონიეთ მჯელობა პეტროგრადში მომხდარი ამბების შესახებ და ამხან. ი. შელიას წინადადებით მივიღეთ შემდეგი რეზოლიუცია: ბალშევიკების გამოსვლებს პეტროგრად და მოსკოვში, რომელსაც მოყვა მოქალაქობრივი ომი მუშათა და ჯარისკაცთა ნაკში, უნდა მოეღოს ბოლო არა შეიარაღებული ძალებით, არამედ შეთანხმებული გზით არსებულ სოციალისტური პარტიათა შორის ერთფეროვანი დემოკრატიული მთავრობის შედგენით. სწორეთ ამნაირი მთავრობა, ფართე დემოკრატიის მხრივ ნდობით აღჭურვილი, დაიხსნის ქვეყანას არევ-დარევისაგან და მშვიდობიანათ მიიყვანს ხალხს დამფუძნებელ კრებამდე ჩვენ მოუწოდებთ ყველა ამხანაგებს—ჯარისკაცებს და მუშებს განურჩევლად პარტიისა და ფრაქციისა არ დაარღვიონ ჩვენი ერთობა ძმობისა და თავისუფლებისა და შეინახონ ძალები შინაგან და გარეშე მტრების წინაალმდეგ საბრძოლველად. მასთან, ერთსულოვნობით მივესალმებით ახლად შემდგარ ამიერ კავკასიის კომისარიატს და ვუსურვებთ მას ენერგიულ მუშაობას.

**იშელი.**

**თავრიზი** (სპარსეთი). 6 დეკემბერს აქ შესდგა მთელი გარნიზონის ქართველ მხედართა შეერთებული კრება. თავმჯდომარეთ ერთხმათ არჩეულ იქნა ამხ. ვასილ მელაძე, მდივნათ ამხ. აკაკი ძნელაძე. მორიგ საკითხში იყო მიმდინარე მომენტი, რომელიც კრებამ საჭიროთ სცნა, დაეყო სამ უმთავრეს ნაწილათ: ა) ომი და ზავი, ბ) მთავრობის შემადგენლობა; გ) ამიერ კავკასის კომისარიატი და ჩვენი მისდამი დამოკიდებულება. ყველა ამ კითხვებზე ვრცლათ ილაპარაკა ამხ. ბუაჩიძემ, რომელიც კრებამ ხანგრძლივი ტაშის ცემით დააჯილდოვა და იქნა ერთხმათ მიღებული შემდეგი რეზელიუცია; რომ მხარი დავუჭიროთ და სრული ნდობა გამოეცხადოს ამიერ კავკასიის კომისარიატს, მეორე მორიგ საკითხში იყო დასმული მოხსენება სარევიზიო კომისიის, რომელიც არჩეულ იყო გაეგო სრული გასავალ შემოსავალი აქვე არსებულ ქართველ მხედართა კულტურულ-განმანათლებელი წრის; მოხსენებიდან გამოირკვა, რომ პრეზიდიუმს წრისა დიდი მუყაითობა გამოუჩენია, რომელთაც გახსნეს ქართული სამკითხველო, სადაც მოდიოდა ყველა ქართული გაზეთები და აგრეთვე ბევრი რუსულიც, დადგეს ქართული წარმოდგენები, მოაწყვეს უფასო ლექციები, რეფერატები, გაავრცელეს თანამედროვე წიგნები და სხვა... ყველა ამ ხარჯთა გამოკლებით წრეს კიდევ დარჩენია ნაღდი ფული 2,820 მანეთი, რაზედაც კრებამ დიდი მადლობა გამოუცხადა წრის პრეზიდიუმს და გადავიდა შემდეგ მორიგ კითხვაზედ, რომელიც შეეხებოდა ქართველ აფიცერთა და ჯარის კაცთა გაგზავნას ნაციონალურ პოლკებში. კრებამ ხანგრძლივი კამათის შემდეგ ერთხმად დაადგინა: ვინაიდან დღევანდელ კრიტიკულ მომენტში აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ჯარის ნაციონალიზაცია, კრებამ სურვილი გამოსთქვა პირველ მოთხოვნილების უმალვე მზათ ვიქნებით წავიდეთ ნაციონალურ პოლკებში, რომლებიც იქნებიან აგებული სრული დემოკრატიულ პრინციპებზეო. დასასრულ კრებამ დაადგინა მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნოს ამიერ კავკასიის კომისარიატს შემდეგი შინაარსის: ვიღებთ რა სამხედველობაში ბალშევიკურ მთავრობის დაარსებას, დემოკრატიულ პარტიათა დაქსასვას, რაიც აძლიერებს კონტრ-რევოლიუციას და ვუწევთ რა ანგარიშს რუსეთში გამეფებულ ანარქიას, სიამოვნებით ვეგებებით ამიერ კავკასიის კომისარიატის დაარსებას და მათ მიერ გამოცემულ დემოკრატიულ დეკრეტებს და ვუსურვებთ ნაყოფიერ მუშაობას.

**აკაკი ბურნათელი.**

# სოც.-დემ. პარტიაში

**ლანჩხუთი.** 10 დეკემბერს, მოხდა ლანჩხუთის რაიონის ს.-დ. მ. პ. წევრთა კრება. განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: პოლიტიკური მომენტი და ხელმძღვანელ კოლექტივის ხელ ახალი არჩევნები. პოლიტიკურ მომენტის დაფასების შემდეგ ერთხმად მოწონებულ იქნა სოც.-დემ. მენშევიკების პოზიცია და აღიარა მისი ტაქტიკის მიზან-შეწონილობა და დაადგინა: მოწვეულ იქნას საჯარო მიტინგი, სადაც გარკვეული იქნება პოლიტიკური მომენტი და გამოტანილი შესაფერი რეზოლიუციები. რეორგანიზაციის შესახებ კრებამ დაადგინა მოხდეს კოლექტივის ხელ-ახალი არჩევნები, რისთვისაც აირჩია სარეკომენდაციო კომისია ხუთი წევრისაგან. კომისიამ ცოტა ხნის თათბირის შემდეგ წარმოუდგინა წევრების სია 21 კაცისაგან შემდგარი. კრებამ ერთხმად დაამტკიცა სია. 12 დეკემბერს შედგა ახალი კოლექტივის კრება. დღიურ წეს-რიგში შედიოდა პრეზიდიუმის არჩევა, ყოველ კოლექტივისაგან ანგარიშის ჩაბარება და მიტინგის მოწვევის დღის დანიშვნა. ფარული კენჭის ყრით არჩეული იქნა პრეზიდიუმში თავმჯდომარეთ ივ. კალანდაძე, ამხანაგათ ნიკ. იმნაიშვილი, მდივნათ აპ. ორაგველიძე, მოლარეთ პ. სარჯველაძე და წევრათ კ. ჟღენტი. ვინაიდან გამოირკვა, რომ ყოფილ კოლექტივს წინანდელ კოლექტივისაგან ვერ ჩაებარებია ანგარიში და ამასთანავე, ანგარიში სასურველათ ვერ მიდიოდა, კოლექტივმა სამი წევრისაგან აირჩია კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს მთელი ანგარიში და კოლექტივის მორიგ კრებაზე გააკეთოს მოხსენება. მიტინგის მოწვევა გადაწყდა 17 დეკემბრისათვის, ამ დღეს გაიმართა მრავალ-რიცხოვანი მიტინგი. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ნიკ. იმნაიშვილი, მან მიტინგს აუხსნა მოწვევის მიზანი. მოხსენებას პოლიტიკურ მომენტზე აკეთებს კოლექტივის მინდობილებით ამხ. კ. ჟღენტი. ილაპარაკეს სხვა ორატორებმაც. და ბოლოს მიტინგმა რეზოლიუცია მიიღო, რომლითაც პროტესტს აცხადებენ ბალშევიკების მიერ დამფუძნებელი კრების თათბირის გარეკის შესახებ, მიტინგი აცხადებს, რომ მხარს დაუჭერს დამფუძნებელ კრებას, მიტინგი აცხადებს, აგრეთვე რომ ის არ დაუშვებს რევოლიუციის წინააღმდეგ მოქმედებას, საიდგანაც არ უნდა გამომდინარეობდეს ის,—მარჯვნიდან იქნება ის თუ მარცხნიდან. მიტინგი სასტიკ პროტესტს უცხადებს ყველა მათ, ვინც გაბედა და შეურაცყოფა მიაყენა ჩვენს საყვარელ მასწავლებელს, ჩვენთვის თავდადებულს ნოე ჟორდანიას. ამ რეზოლიუციას მიტინგი აღტაცებით და ტაშის გრიალით შეხვდა.

**Kalnik.**

# მუშათა შორის

**სარიყამიში.** არ შემიძლია არ აღვნიშნო აქაური მოიჯარადრეების თავ-გასულობა. ეს ვაჟბატონები არ დაგიდევენ არც ახალს და არც ძველს. ესენი უფრო იცავენ ძველებურათ, რაც შეიძლება მეტი დამონებული ყავდეთ მუშები. სხვათა შორის, უშვერი სიტყვებითაც კი ხშირათ იხსენიებენ და ემუქრებიან აქედან „ამოგფხიკავთ“ და არავითარ მოწმობას არ მოგცემთო. შეშინებული მუშები ვერაფერს ვერ ამბობენ. მართლა არ ამოგვრიცხონ და ამდენი ხნის ნამსახურმა მუქთათ არ ჩაგვიაროსო. რომ უმოწმობოთ გაგვიშვან, დეზერტირათ ჩაგვთვლიანო. ამით მოიჯარადრეებიც სარგებლობენ და როგორც უნდათ, მუშას ისე ექცევიან. იყო ისეთი შემთხვევა, რომ მუშა ველარ მოთავსებულა ერთ „ხაზეინთან“ და გადასულა სამუშაოთ და როცა გადასულმა მუშამ თხოვნით მიმართა გზის უფროსს, რომ იგი გადაერიცხათ მეორე მოიჯარადრესთან, გზის უფროსმა აცნობა მოიჯარადრეს, რაზედაც ბ-ნმა მოიჯარადრე მ—შვილმა დააწერა თხოვნას, რომ მე ნებას არ ვაძლევ სხვაგან მუშაობისო და თანაც სთხოვა გზის უფროსს, რომ ეს მუშა ამოერიცხათ იქიდან და გაეგზავნათ სამხედრო უფროსთან, მაგრამ ვერ აუსრულდა ბ-ნ მ—შვილს გულის წადილი და მუშა დღესაც განაგრძობს მუშაობას. აქ არსებობდა მიწის სამუშევარის არტელი და როცა ეს საქმე გათავდა, მუშებს უნდოდათ გადაწერილიყვენ თავიანთ სახლების ახლოს სამუშაოთ, უმეტესობა მუშების იყვენ ბელოგორელები, მაგრამ ამ დროს გამოუჩნდათ მოიჯარადრე დ—სიძე და სთხოვა მუშებს დარჩენილიყვენ მასთან სამუშაოთ და შეპირდა: როცა მეტყვით, მაშინ ფულსაც მოგცემთ და მოწმობებსაცო, მაგრამ, როცა მუშებმა მეტი ყინვის გამო ველარ იმუშავეს, სთხოვეს, რომ გაეშვათ სახლში. მერე უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა ბ-ნი დ—სიძე, რადგანაც არ უნდოდა მუშები გაეშვა სამუშაოდან. ბევრნაირ ხრიკებს მიმართა, ხან პირდებოდა გაგიშვებთო და ხან კი უარს ამბობდა და როცა მუშებმა თხოვნით მიმართეს გზის უფროსს, ასეთი პასუხი მიიღეს: ჯერ არ შეიძლება თქვენი წასვლა, რადგანაც მოიჯარადრეს მუშები არ ყავს და თქვენ რომ გაგიშვათ, იმასთან ვინღა იმუშავებსო. როცა მუშებმა დ—სიძეს უკანასკნელათ მოსთხოვეს ფული, მაშინ ბ-ნმა დ—სიძემ ჩამოართვა მუშებს წიგნაკები და უთხრა: მოემზადეთ თქვენ წასასვლელათ და მე ვიანგარიშებ და მოგცემ ფულსო. მუშებმაც შეჰკრეს თავიანთი ნივთები და ელოდენ „ხაზეინს“, მაგრამ როცა შუადღის მატარებელზე წასვლის იმედი დაჰკარგეს, დაუწყეს გამწარებული ძებნა და როგორც იყო საღამოს ნახეს. როცა მუშები შეეკითხენ: დღეს რათ დაგვარჩინე, რისთვის გვაცდენო—ასე უპასუხა: თქვენ მაგის მეტი საქმე არ გაქვთ და მე სხვა საქმეც ბევრი მაქვსო. იმედ დაკარგულმა მუშებმა მოსთხოვეს თავიანთი წიგნაკები და გადასწყვიტეს მიემართნათ აღმ. კომიტეტისთვის. როცა ეს გაიგო ბ-ნმა დ—სიძემ გამოუგზავნა მოციქული, რომ მეზობლები ვართ და ნუ მიჩივლებთო. მუშებიც ურიგდებოდენ იმ პირობით, რომ რადგანაც დღეს არ გაგვიშვი მატარებლით, დღეის ქირა მოგვეცი და წავალთ ჩვენთვისო, მაგრამ მოიჯარადრემ ერთი დღის ქირის მიცემაზე უარი უთხრა და თან დაემუქრა: სადაც გინდათ, იქ მიჩივლეთო. მუშებმაც განაცხადეს კომიტეტში და კომიტეტმა დაადგინა: მოიჯარადრემ მისცეს მუშებს ყველა მომცდარი დღეების. არ ვიცი როგორ გუნებაზე არის ბ-ნი მოიჯარადრე. რატომ ვერ გაიგეს ამ ვაჟბატონებმა, რომ ველარ გაყავთ თავის ხრიკები და ძველი ფანდები.

**სანდრო ჯახტეველი.**

# პროვინცია

**თავრიზი** (სპარსეთი). არ შემიძლია არ აღვნიშნო აქაური რკინის გზის კონდუქტორების თავაშვებულობა. თავიანთ თავს სოციალ-დემოკრატებს უწოდებენ, ნამდვილათ კი ყოფილ ჟანდარმებზე უარესათ იქცევიან. საბრალო სპარსელებს ყვლეფავენ.

12 დეკემბერს მატარებელში ქართველმა კონდუქტორმა ერთს სპარსელს სცემა, მე ამ საქციელმა მეტად ამაღელვა. შევეკითხე: ამხანაგო, რატომ სცემ მეთქი? მიპასუხა: ბილეთი არა ჰქონდა და იმიტომ ვცემო. სპარსელს მართლა ვერ მოესწრო ბილეთის აღება. ერთი კონდუქტორისთვის მიეცა ფული და შემდეგ ამასაც მოუთხოვია და როცა ფული არ მიუცია—სცემა.

დროა, აქაურმა კომიტეტმა ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს მათ თავ აშვებულებას. დღედაღამ კარტის თამაში და ლაყბობაში ატარებენ თავიანთ წუთი სოფელს, კრებას რომ დანიშნავენ ერთი კაცი არ ეკარება, იმ დროს ღვინის სმაში არიან გახურებულები და თუ შეეკითხე, ღრმეთმა დაგიფაროს მე პირველი დემოკრატი ვარო გიპასუხებს.

**პავლე.**

**ლანჩხუთი.** 13 დეკემბერს ადგილობრივ თეატრში ბალშევიკმა ერქომაიშვილმა მოხსენება გააკეთა. ბ. მომხსენებელი შეეხო გაზეთ „ერთობას“ და ამიერ კავკასიის კომისარიატს. მან სთქვა რომ „ერთობა“ ხალხს კი არ ემსახურება, არამედ კალედინსო. ამიერ კავკასიის კომისარიატში კი შედიან მხოლოდ რეაქციონერებიო, გეგეჭკორი, ჩხენკელი და სხვები კალედინთან ხელ ჩაკიდებული მიდიან ბალშევიკების დასამარცხებლათო. მასთან განაცხადა ბ. მომხსენებელმა, რომ კავკასიის კომისარიატმა კალედინს შვიდი ვაგონი თოფები გაუგზავნაო. ერქომაიშვილს უპასუხა მენშევიკ კ. წილოსანმა, რომელმაც აღნიშნა ბალშევიკების მიუტევებელი საქციელი. წილოსანის სიტყვის შემდეგ ილაპარაკა სოციალისტ-ფედერალისტმა კვირკელიამ, რომელმაც თავისი სიტყვა დაასრულა შემდეგ ნაირად: „ბალშევიკების პარტია ავანგარდია რუსეთში და მას უნდა გაყვეს მთელი დანარჩენი პარტიებიო“.

**დიოგენი.**

**სარაყამიში.** 9 დეკემბერს აქ შესდგა ქართველ სამხედრო კავშირის წევრთა კრება, რომელსაც 400-მდე ქართველობა დაესწრო. დღიურ წეს-რიგში შეტანილი იყო: მოწყობა ქართველთ კავშირის სამხედრო ბატალიონისა. პროვაკაციის წინააღმდეგ ბრძოლა. შედგენა პროგანდისტთა ჯგუფისა. მილიციის უფროსი თხოულობს ქართველებისაგან 12 მილიციონერს, რომლებიც დაიცავენ წესიერებას სომხის მილიციონერებთან ერთად. მიმდინარე მომენტის შესახებ; პარტიების შეთანხმების შესახებ. ყველა ეს კითხვები ერთხმად იქნა მიღებული გარდა პირველისა. პირველმა საკითხმა კი დიდი კამათი გამოიწვია და ბოლოს გადაწყვიტა კრებამ ხმის უმეტესობით ერთის წინააღმდეგ აერჩია პრეზიდიუმი და გადაეცათ პირველი საკითხი გადასაწყვეტად, პრეზიდიუმში ერთხმათ იქნენ შემდეგი პირები: ექიმი ტყეშელაშვილი, ინჟინერი ვარაზაშვილი, წერეთელი, აბრამიძე, ტურაბელიძე, მაკაცარია, ლ. თვალჭრელიძე, გარდა ამისა კრებამ მიიღო ერთხმად სალამი უძღვნას ნოე ჟორდანიას და ამიერ-კავკასიის ახლად შემდგარ მთავრობას.

**ლ. თვალჭრელიძე.**

**ქ. გორი.** ამ უკანასკნელ ხანებში გორის უმთავრესი ქუჩები წარმოადგენენ საჯირითო მოედანს, სადაც შეგიძლიათ ნახოთ ღვინით გალეშილი ნაძირალ-პროვოკატორები: ზოგიერთი ჯარისკაცი და არა ჯარისკაციც, რომელნიც ერთმანეთს ეცილებიან მყუდროების დარღვევაში და მთელი დღე-ღამის განმავლობაში მოსვენებას არ აძლევენ გორის მშვიდობიან მცხოვრებთ ზურნა-არღანის ღრიჭინით და თოფების სროლით. ეს ვაჟბატონები იქამდე წათამამდენ, რომ აშკარათ თვითმართველობის და კომისარიატის წინ ისვრიან თოფებს და იძახიან: გამოვიდეს წითელი გვარდია და თუ ბიჭია წინ გადაგვეღობოსო. წათამამებული ნაძირალები იქამდისაც კი მივიდენ, რომ ქალაქის კომისარ მარანელს იარაღი აჰყარეს. თქმა არ უნდა, ასეთ ამბებს თავისი გამომწვევი მიზეზიც უნდა ჰქონდეს და ეს მიზეზი მკითხველმა უკვე იცის—ჩვეულებრივ ბნელი ძალების გველური ენის სისინი. აი მთილე თავი და ბოლო, რომელზედაც გვითითებს ცხოვრება და გვეუბნება: მოსპეთ ეს რა საშუალებითაც გინდათ ღ დამყარდება მყუდროებაო. პროვოკატორებმა, როდესაც გაიგეს, რომ გორში ქართული პოლკი მოდიოდა, ჯერ ამხ. რუსის სალდათებში დაიწყეს თავიანთი ბნელი აგიტაცია. მათ ეუბნებოდნენ: გორელებმა ქართული პოლკი იმიტომ მოიყვანეს, რომ თქვენი გადაყვანა სურთ აქედანო. მათ ანკესზე ამხ. რუსის სალდათები რომ არ წამოეგენ, შემდეგ დაიწყეს მოსულ ქართულ პოლკში გველური სისინი და ეუბნებოდენ: მუშათა საბჭომ წითელი გვარდია იმისთვის შეადგინა, რომ თქვენი აქედან განდევნა და ფრონტზე გაგზავნა სურთო. აი უწესოების გამომწვევი მიზეზი ქ. გორში. მათ უნდოდათ ეს ორი რევოლიუციის ავანგარდი—გვარდია და ქართული პოლკი ერთმანეთისთვის შეებრძოლებია და ამით აემღვრია წყალი, მაგრამ ბნელი ძალები მოსტყუვდენ 15 დეკემბერს თვითმართველობის შენობაში შესდგა შეერთებული სალდათთა, მუშათა საბჭ. თვითმართველობის და წითელგვარდიელთა თანდასწრებით მეტათ საყურადღებო კრება. განსახილველი იყო: პროვოკატორებთან ბრძოლა და ლოთობა. თავჯდომარეობს ამ. მაჩაბელი. სიტყვას თხოულობს ამხ. ჩ—ნაია. იგი ყოველ მხრივ აშუქებს გორში უწესოების შექმნის მიზეზებს და მოითხოვს ყველა საბჭოების შეერთებას ამ ბოროტებასთან საბრძოლველათ. ამხ. კეცხოველი აღშფოთებულია ბნელი ძალების თავგასულობით და მოითხოვს მათ წინააღმდეგ მკაცრი ზომების მიღებას. ამხ. ვადაჭკორია (სალ. საბ. წევრი) მოითხოვს უწესოების ჩამდენი, თოფის გამსროლი ან ხალხის წამქეზებელი თუ აღმოჩნდება სამხედრო პირი გაგზავნილ იქნას ფრონტზე. ამხ. კურდღელაძე (სალ. საბჭ. წევ.) წინააღმდეგია ფრონტზე გაგზავნის. იგი აქ მოღალატეს იქაც მოღალატეთ სთვლის და მოითხოვს სამხედრო გასამართლებას. დიდი კამათის შემდეგ კრება ღებულობს პროვოკატორებს და ლოთების წინააღმდეგ: პირველათ ორი თვით დაპატიმრებას, სანამ არ დამყარდება დამფუძნებელი კრების მიერ დემოკრატიული რესპუბლიკა. ღვინის საკითხზე კრებამ დაადგინა გადაეცეს მისი მოხმარების საქმე ქალაქის თვი[illegible]ველობას. დასასრულ მეოთხე ქართული პოლკის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. [illegible] მოწოდებას ჯარისკაცთა და მოქალაქეთა მიმართ. [illegible] მგებლ ავანტიურისტთა წყალობით, რომლებ[ი]ც ბედავენ თავიანთ თავს ბალშევიკე[ბს] უწოდონ, სისხლში გვიხრჩობენ ძვირფა[ს] თავისუფლებას. რუსეთი ანარქიამ მოი[ც]ვა. დღეს თუ არა ხვალ იქნება მათი წყალობით ისეთ უფსკრულში გადავი[ჩეხოთ], რომ მერე ამოსვლა გაგვიჭირდეს ამიტომ დრო არის გონს მოვიდეთ, ვი[ც]ნათ ჩვენი ნამდვილი მტერი და მო[ყვარე]. ამხანაგებო ჯარისკაცნო და მუ[შ]ებო! შემოკრბით რუს. სოც. დემ. მუ[შ]. პარ., მენშევიკების დროშის ქვეშ, რო[მ]ელსაც რევოლიუციის პირველ დღ[ი]დანვე სწორე დეზი ჰქონდა აღებულ თავისუფლების დასაგვირგვინებლათ. გა[ი]სოვდეთ, რომ ნაძირალებიც ბალშევიკე[]ბის სახელით გვევლინებიან. ნუ ასდევ[თ] მათ. ხელი შეუწყეთ გორში წესიერები[ს] დამყარებას, ნუ მისცემთ ნებას ნაძირა[]ლებს ვინც უნდა იყოს ის—სალდათ[ი] თუ მოქალაქე, ქუჩაში თოფის სროლის[ა] და არღნით ხეტიალს. ამხ. ჯარის კაც[ე]ბო, დაეხმარეთ მილიციონერებს და წ[ი]თელ გვარდიელებს ქალაქში წესიერებ[ის] დამყარებაში. დეე, ქვეყანამ იცოდე[ს] რომ ქართველი პოლკი და წითელ გვარდია ნებას არ მისცემს ნაძირალე[ბ]ს შეგვიგინონ თავისუფლება. იცოდეს ყვე[]ლამ, რომ ეს რევოლიუციის ავანგარ[დი] სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლას უცხ[ა]დებს პროვოკატორ-შანტაჟისტებს.

ძირს პროვოკატორ-შანტაჟისტები!

გაუმარჯოს რევოლიუციას!

**მუშა გორელი.**


# დაკარგე

2 პასპორტ[ი] მიქელ-გა[ბ]რიელის საზოგადოებისაგან მოცემულ[ი]. პირველი იყო ამოწერილი გიორგი ს[ი]მონის ძე ნადირაძის სახელზე და მეო[რე] კი ფეოდოსია გიორგის ასულის ნადირ[ა]ძის სახელზე, მპოვნელს ვსთხოვ გამო[]გზავნოს შემდეგი მისამართით: სად. [] ტანები გიორგი ნადირაძეს.

# ქართული უნივერსიტეტი
## თფილისში გაიხსნება 1918 წ. იანვრის შუა რიცხვებში

ამ თავითვე იქმნება სიბრძნის მეტყველების ჰუმანიურ მეცნიერებათა განყოფილე[ბა] ლექციები იქნება **საფილოსოფიო, საისტორიო, სალიტერატურო, საენათმეცნიერ[ო] საპედაგოგიო და სოციალურ მეცნიერებათა დარგებიდან.**

სტუდენტებათ მიიღებიან საშუალო სასწავლებლებში (ვაჟთა და ქალთა გ[ი]მნაზიები, სასულიერო სემინარია (ოთხი კლასი), რეალური, საკომერციო, საეპარ[ქიო] და წმ. ნინოს დედათა სასწავლებლები, საოსტატო ინსტიტუტი და სემინ[ა]რია, კადეტთა კორპუსი და სხვ.) კურს-დამთავრებულნი.

სტუდენტად ჩასარიცხავად საჭიროა: 1) თხოვნა ქართული უნივერსიტეტი[ს] დროებითი გამგეობის სახელზე (თხოვნაში აღნიშნული უნდა იყოს მთხოვნელის მ[ი]სამართი), 2) მოწმობა განათლების ცენზის შესახებ და 3) მეტრიკული მოწმ[ობა] (ვაჟთათვის). მსმენელთათვის საჭიროა მხოლოდ თხოვნა.

სწავლის ფასი სემესტრში (ე. ი. ნახევარი წლისა) სტუდენტებისა და მსმ[ე]ნელთათვის ათი თუმანი. იმ მსმენელთათვის კი, რომელთაც მხოლოდ ერთისა ა[ნ] ორი საგნის მოსმენა სურთ,—ხუთი თუმანი. ფული ჩაწერისთანავე უნდა იყოს შ[ე]მოტანილი.

ჩაწერა იოსებ ყიფშიძესთან, ქართული უნივერსიტეტის კანცელარიაში (ქარ[]თული გიმნაზიის შენობა) 12 ს.—2 საათამდე ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმეების.

ფოსტის ადრესი: въ канцелярію Грузинскаго Университета. Тифли[съ] зданіе Грузинской гимназіи.

ქართული უნივერსიტეტის დრ. გამგეობის წევრნი: **პ. მელიქიშვილი.**
**ივ. ჯავახიშვილი.**

(15—2)

# სახალხო სახლი

სახალხო სახლთან არსებული ქართული წარმოდგენების მმართველი წრე.

**სამშაბათს, 2 იანვარს, 1918 წ. წარმოდგენილი იქნება:**

1. **მაღაროს უფროსი მუშა** პიესა 1 მ. გერბიდონისა თარგ. ნ. გოცირ.

2. **ტარტიუფი ანუ მუზმუზელ[ა]** კ. 5 მ. მოლიერისა, თარგ. მაჭავარიან[ისა].

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნი ბარათაშვილი, მარგველაშვილი, ნინო[] რომანიშვილი-დგებუაძისა. ბ.ბ. განაშვილი, გოცირიძე, გედევანოვი, მინდიაშვილ[ი] მეტრეველი, თავდგირიძე, ჭანკვატაძე, მამაჯანოვი, ჯაბაური.

**ადგილების ფასი 1 მ. 20 კ-დან 25 კ-დე.** **დასაწყისი საღამოს 8 საათზე**

შემდეგი წარმოდგენა 10 იანვარს. რეჟ. კ. შათირიშვილი.

**ქ. თფილისში უსაქმოთ დარჩენილ მუშების საყურადღებოთ.**

ქალაქის შრომის ბირჟაში შემოდის მოთხოვნილება სხვადასხვა დარგის მუშათ[ა] საჭიროებაზე.

# შრომის ბირჟა
**წინადადებას აძლევს ყველა ადგილობრივ**
# უსაქმოდ დარჩენილ მუშებს
# ჩაეწერონ ბირჟაში.

ბირჟა ღიაა ყოველ დღე (გარდა კვირა უქმე დღეებისა) **დილის 10 სა[ათიდან] დღის 3 საათ.**

ბირჟა მოთავსებულია მადათოვის კუნძულზე ზუბალოვის სახლში № 1[] ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. 3—3

**მიიღება ხელის მოწერა 1918 წ. ყოველ დღიურ გაზეთ**
# „სოციალ-დემოკრატზე“

**ხელის მოწერის პირობები:**

**ერთი წლით 50 მან., ექვსი თვით 27 მან., სამი თვით 13 მან. 50 კაპ., ორ[ი] თვით 9 მან., ერთი თვით 4 მან. 50 კაპ: ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ.**

განცხადების ფასი: პირველ და უკანასკნელ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—50 კა[პ.] სამგლოვიარო განცხადება—2 საათამდის—10 მან.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება თვის პირველ და თხუთმეტ რიცხვებში შემდეგ[ი] მისამართით: Кутаисъ, почт. ящ. № 9 Тутку Гварамія.